

615
384/2



ეროვნული
ენციკლოპედია



საქართველოს ენციკლოპედია
საქართველოს ენციკლოპედია

ISSN 0180-1624

საქართველო

მარტი
№ 3 1984 წ.



ბიოგრაფიული
ენციკლოპედია



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის, გენერალური მდივანი
კონსტანტინე უსტინის ქა ჩერენცოვ.



საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1984 წლის 18 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით პლენუმში გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ანხ. კ. უ. ჩერნენკომ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხსოვნას პატივი სცეს მწუხარების წუთიერი დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაცვალება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი, ლენინელი, მშვიდობისა და კომუნისმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის უმნიშვნელოვანეს პოსტებზე, რომლებზეც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის პარტია გზავნიდა, იგი მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, მასებთან მისი კავშირის გაძლიერებას, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ი. ვ. ანდროპოვი დიდ ყურადღებას უთმობდა სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული ხაზის განხორციელებას, რომლის მიზანია წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, კადრების პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუზრეელი ზრდა.

დიდი წვლილი შეიტანა ი. ვ. ანდროპოვმა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერაში. მისი ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და მტკიცედ ხორციელდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლი-

ტიკური კურსი — თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, იმპერიალიზმის აგრესიული სრიკების ჩაშლის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსი.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გზოვის ღრეებში კონუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებენ თავიანთ რიგებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს გარშემო, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანხ. ნ. ა. ტიხონოვმა. მან წამოაყენა წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად აირჩიონ ანხ. კ. უ. ჩერნენკო.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად ერთხმად აირჩია ანხ. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ანხ. კ. უ. ჩერნენკო. მან გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალური კომიტეტს დიდი ნდობისათვის.

ანხ. კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცენტრალური კომიტეტსა და კომუნისტურ პარტიას აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას არ დაიშურებს, რათა წარმატებით შესრულდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ადგანან.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბანერული პლიზის

აპხანაბ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

ძვირფასო აპხანაბებო!
გულითად მადლობას მოვასხენებ ცენტრალური კომიტეტის წევრებს დიდი პატივისათვის — ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად ჩემი არჩევისათვის. მე მთლიანად მაქვს შეგნებული უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მეკისრება. მესმის, რა დიდმნიშვნელოვანი, რა განსაკუთრებით რთული მუშაობა მოგველის. აღვუთქვამ ცენტრალური კომიტეტს, პარტიას, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნას, მთელ გამოცდილებას გამოვიყენებ, რათა ვაემაართო ნდობა, თქვენთან ერთად განვაგრძო ჩვენი პარტიის ის პრინციპული გეზი, რომელსაც თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ორგანიზატორული ნიჭი, ნათელი შემოქმედებითი გონება, თეორიასა და პოლიტიკაში ლენინიზმის ერთგულება, ახლის მახვილი გრძნობა და მასების ცოცხალი გამოცდილების აქტუელირების უნარი, შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც უცხოა ჩვენი მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესისათვის, ჩვენი მორალისათვის, პირადი მომხიბვლელობა და თავმდაბლობა — ყოველივე ამან უდიდესი

ავტორიტეტი და პატივისცემა მოუპოვა იური ვლადიმერის ძეს პარტიასა და ხალხში.

პარტია მას მუშაობის ყველაზე რთულ და პასუხსაგებ უბნებს ანდობდა. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის საუკეთესო პოლიტიკური და ადამიანური თვისებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე. იგი თავს არ ზოგავდა, ცდილობდა ყოველთვის ყოფილიყო მის წინაშე დასახული ამოცანების სიმადლეზე.

იური ვლადიმერის ძემ მნიშვნელოვანი პირადი წვლილი შეიტანა თანამედროვე ეტაპზე პარტიის ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი და რეალისტური კურსის — განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის კურსის შემუშავებისათვის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიბიუროს კოლექტიურ საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები, რომლებიც დიდმნიშვნელოვანი ნიშანსებები გახდა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. პლენუმე-

ბის გადაწყვეტილებებში შემდგომი შემოქმედებითი განვითარება და დაკონკრეტება პოვა სკკპ XXVI ყრილობის პოლიტიკურმა გეზმა.

დიდ ძალასა და ენერგიას ახმარდა ი. ვ. ანდროპოვი საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი შრომის მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო სარბიელზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლას.

იური ვლადიმერის ძეს კარგად ესმოდა: პარტიის ავტორიტეტის წყარო ის არის, რომ თავისი ხელმძღვანელი მდგომარეობა, თავისი საპატიო ავანგარდული როლი მან ხალხისადმი თავდადებული სამსახურით, მშრომელთა ინტერესების ზუსტად გამოხატვით, მოქმედების უტყუარი მარქსისტულ-ლენინური პროგრამით მათი შეიარაღების უნარით მოიპოვა და ამითვე განამტკიცებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორეს, დროის მოთხოვნებთან და სულისკვეთებასთან მის შესაბამისობას დამაჯერებლად ადასტურებს ის, რომ ამ პოლიტიკას მზურვალედ უჭერს მხარს მთელი ხალხი, პარტია მტკიცედ ადგას არჩეულ გზას — კომ-

სსს. სს. სს. კომ. რესპუბლ. კომ. მ. მ. მ.



უნიტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზას.

ასე იყო წინათ. ასე იქნება მუდამ! მაგრამ ჩვენ ყველას გვესმის, ამხანაგებო, რომ ამ გზით სიარულისათვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. უნდა შეგვეძლოს არა მარტო დავსახოთ სწორი მიზნები, არამედ შეუპოვრად ვიღვწოდეთ კიდევ მათი მიღწევისათვის და ყოველნაირ სიძნელებებს ვძლევედეთ. რეალისტურად უნდა ვაფასებდეთ მიღწეულს, არც ვაზვიადებდეთ და არც ვაკინებდეთ მას. მხოლოდ ასეთი მიდგომა ავგარიდებს თავიდან პოლიტიკაში შეცდომებს, იმის ცდუნებას, რომ სასურველი სინამდვილედ მოგვეჩვენოს, საშუალებას მოგვცემს თვალნათლივ დავინახოთ. როგორც ლენინი ამბობდა, „სახელდობრ რა და ვამთავრეთ“ და რა „არ დავემთავრებოდა“.

ხანმოკლე, გულსატკბოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ამხანაგებო, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის შრომა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში, ჩვენ ყველანი ვიგარძნობთ უმისობას.

იგი ჩვენგან წავიდა იმ დროს, როცა დიდი და დაძაბული მუშაობა გვაქვს გაჩაღებული იმისათვის, რომ მძლავრად დაეაჩქაროთ სახალხო მეურნეობის განვითარება, დაეძლიოთ სიძნელებები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას შეეჭმნა 70-80-იანი წლების მიჯნაზე. მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რაოდენ ბევრი რამის გაკეთება შეძლო პარტიამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში, რამდენი ახალი ნაყოფიერი რამ იშვა და დამკვიდრდა პრაქტიკულად. განვგრძობთ და კოლექტიური ძალისხმევით წინ წაგწით იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხელმძღვანელობით წამოწყებული მუშაობა, — აი საუკეთესო საშუალება იმისა, რომ ჭეროვანი პატივი მივაგოთ მის ხსოვნას, უზრუნველვყოთ პოლიტიკაში მემკვიდრეობითობა.

მემკვიდრეობითობა განყენებული ცნება კი არა, ცოცხალი, რეალური საქმეა. მისი არსი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ შეუჩერებელი ვიაროთ წინ. ამ წინსვლისას უნდა ვეყრდნობოდეთ ყოველივე უკვე მიღწეულს, შემოქმედებულად ვამდიდრებდეთ მას, კომუნისტების, მუშათა კლასის, მთელი ხალხის კოლექტიურ აზრსა და ენერჯიას ვახმარდეთ გადასაწყვეტ ამოცანებს, აწმყოსა და მომავლის საკვანძო პრობლემებს. და ეს ყველა ჩვენგანს ბევრ რამეს ავალბებს.

ჩვენი პარტიის ძალაა მისი ერთიანობა, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულება, იმის უნარი, რომ განავითაროს და წარმართოს მასების შემოქმედებითა აქტიურობა, იდეურა და ორგანიზაციულად შეაკავშიროს ისინი ნაციდო ლენინური პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე. თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ამ ბოლო ხანს ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტიბიურო, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის, პარტიული ხელმძღვანელობის სტილის გაუმჯობესების საკითხებს. ერთ-ერთი მთავანია პარტიული კომიტეტების ფუნქციებისა და სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ამოცანების მკაფიო გამოიჭენა, მათს მუშაობაში დუბლირების აღმოფხვრა. ეს დიდი, პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. და გულახდილად უნდა ითქვას, აქ ყველაფერი ჭეროვანად არ არის მოგვარებული.

ხდება ხოლმე რომ საბჭოების, საინჟინეროების, საწარმოების მუშაკები ჭეროვან დამოუკიდებლობას არ იჩენენ, პარტიულ ორგანოებს აკისრებენ საკითხებს, რომლებიც თვითონ უნდა გადაწყვიტონ. სამეურნეო ხელმძღვანელთა მაგივრობის პრაქტიკა ხალხის უკარგავს კადრებს. უფრო მეტიც, იგი პარტიული კომიტეტის, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოს, როლის შესუსტების საფრთხეს შეიცავს. პარტიული კომიტეტებისათვის მეურნეობის გაძლიერება ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, იმ ადამიანების გაძლიერებას, რომლებიც მეურნეობას ხელმძღვანელობენ. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ამხანაგებო! თვე-ნახევრის წინათ, ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ჩვენ ყოველმხრივ შევადგინეთ საქმის ვითარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. მიღებულ დადგენილებაში საგანგებოდ აღინიშნა, რომ ახლა მთავარია შევიწარმოოთ დაჩქარებული ტემპი, ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის საერთო განწყობილება, განუხრებლად ავამაღლოთ ეკონომიკისადმი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის დონე, უფრო აქტიურად განვავითაროთ აოზიტიური ტენდენციები, სტაბილური ხასიათი მივიანიოთ მათ. ჩვენი უშუალო მოვალეობაა თანამიმდევრულად შევასრულოთ პლენუმის ეს დებულებანი.

მთელი ჩვენი გამოცდილება ადასტურებს: პარტიის ძალის უმნიშვნელოვანესი წყარო ყოველთვის იყო, არის და იქნება მასებთან მისი კავშირი, მილიონობით მშრომელის მოქალაქეობრივი აქტიურობა, წარმოების საქმეებისადმი, საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისადმი მათი მზრუნველი მიდგომა.

კომუნისტთა პარტიის მოვალეობაა თავის კურსს, თავის გადაწყვეტილებებს, მოქმედებას დღენიადგ ამოწმებდეს უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის აზრს, მისი უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური და კლასობრივი გუჰანის მიხედვით.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მუდამ დიდად აფასებდა მუშაკების პირდაპირობას, მის ცხოვრებით დასაბუთებულ და ნათელ მსჯელობას. ფხიზლად ადევნებდა თავს მის აზრს, მოვლენებისა და ადამიანების მისეულ შეფასებას, ეძებდა და პოულობდა მათში პასუხს ყველაზე საჭირობო საკითხებზე.

ყურად იღოს მუშათა წრიდან, სოციალისტური მშენებლობის წინა ხაზიდან მოსული სიტყვა, ეთაბიერებოდეს მშრომელ ადამიანებს — ეს დღესაც უნდა იყოს თითოეული კომუნისტი ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობა, უდიდესი მნიშვნაი მოთხოვნა.

შეგვეძლოს დროულად შევნიშნოთ და წავახალისოთ ხალხს ინიციატივა, თანაც, ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით — სამუშაო ადგილზე საქმისადმი ყაირათიანი, შემოქმედებითი დამოკიდებულებით დაწყებული და სახელმწიფოს, საზოგადოების მართვაში აქტიური მონაწილეობით დამთავრებული, — ეს არის ჩვენი პროგრესის უდიდესი, შეიძლება ითქვას, უშრეტო რეზერვი. ყოველ თავის დიდ მიღწევას ჩვენი ეკონომიკა მეტნაკლებად შრომითი კოლექტივების შემოქმედებითს თაოსნობას, მათს საკუთარ, როგორც იტყვიან, შემხვედრ გეგმებს უნდა უმაღლოდეს.

უდიდეს კმაყოფილებას იწვევს ქვეყნის შრომითი კოლექტივების ფართო გამომხატურება დეკემბრის პლენუმის მოწოდებაზე — მიაღწიონ 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზეგამების გადიდებას და დამატებით 0,5 პროცენტით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. პარტიული აღმავლობა, ენერჯია და გერგილიანობა, რომლებითაც მშრომელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი მოჰკიდეს ამ ამოცანის გადაწყვეტას, გვისახავს რწმენას, რომ წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

ვფიქრობ, ღირს იმ საკითხის განხილვა, რომ ამის შედეგად მიღებული მთელი სახსრები და რესურსები — ისინი კი საკმაოდ დიდია — მოვახმაროთ საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პრობლემების გაუმჯობესებას, სამედიცინო მომსახურებას, ბინების მშენებლობას. ეს სავესებით შეესაბამება პარტიის პოლიტიკის უმაღლეს მიზანს — ადამიანის კეთილდღეობისათვის ყოველმხრივ ზრუნვას.

საერთოდ, ამხანაგებო, როგორც ჩანს, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მშრომელთა შემოქმედებით თაოსნობანი, ნოვატორობა უკეთ წავახალისოთ მატერიალურად და მორალურად.

საბჭოთა წყობილებას საფუძველად უდიდეს სოციალური სამართლიანობა. სწორედ ეს არის მისი უდიდესი ძალა. ამიტომ აქვს უსოფენ ცდინი მნიშვნელობა იმას, რომ ეს სოციალური სამართლიანობა განუხრებლად იყოს დაცული ყოველდღიურ საქმეებში, იქნება ეს ხელფასი და პრემიები, ბინებისა თუ საზღურების განაწილება, დაჯილდოება — ერთი სიტყვით, რომ ყველაფერი სამართლიანად, ჩვენს საერთო საქმეში თითოეული ადამიანის შრომითი წვლილის შესაბამისად კეთდებოდეს.

აქ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს. ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით შრომის კოლექტივებზე. მათ ახლა კანონმდებლობის წესით განმტკიცებული დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. ახლა მთავარი ის არის, რომ ეს უფლებები სრულად გამოიყენონ.

ამ ბოლო ხანს პარტიამ სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელობის ახალი გამოცდილება შეიძინა, ჩვენ უკეთ ვიყენებთ ჩვენი წყობილების უპირატესობებსა და შესაძლებლობებს, მათ, რა თქმა უნდა, განეკუთვნება მასების ორგანიზებულობა და შეგნება. სწორედ ამიტომ არის, რომ დიდ ყურადღებას ვუთმობთ წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას.


ორგანიზებულობის, წესრიგის საკითხი ჩვენთვის საკვანძო, პრინციპული საკითხია. ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. ყოველგვარ მოდუნებას, უპასუხისმგებლობას საზოგადოებისათვის მარტო მატერიალური ზარალი როდ მოაქვს. ისინი სერიოზულ სოციალურ, ზნეობრივ ზიანსაც გვაყენებენ. ეს კარგად გვესმის ჩვენ, კომუნისტებს, ეს მისი მილიონობით საბჭოთა ადამიანს. და სავესებით კანონზომიერია, რომ ჰეშმარტიად მთელმა ხალხმა მოიწონა შრომის, საწარმოო, საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი.

ამ სფეროში ზოგი რამ უკვე გავაკეთეთ. და ვინ არ იცის, რა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ამან საწარმოო საქმეებზე, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საერთოდ ხალხის გუნებაგანწყობილებაზე. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, თითქოს უკვე ყველაფერი გაკეთებულიყოს. არა, ამხანაგებო, ცხოვრება გვასწავლის, რომ ამ საქმეში მოდუნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

რაც შეეხება ჩვენი ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ისინი ზუსტად განსაზღვრა პარტიამ. ინტენსიფიკაციამ, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევითა დაჩქარებულმა დაწერვამ, დიდი კომპლექსური პროგრამების განხორციელებამ — ყოველგვ ამან საბოლოო ანგარიშით თვისებრივად ახალ დონეზე უნდა აიყვანოს ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალები.

სერიოზულ გარდაქმნას საჭიროებს ეკონომიკის მართვის სისტემა, მთელი ჩვენი სამეურნეო მექანიზმი. ამ მხრივ მუშაობა მხოლოდ დაიწყო. იგი შეიცავს საწარმოთა უფლებების გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ფართო მასშტაბის ეკონომიკურ ექსპერიმენტს. მიმდინარეობს მომსახურების სფეროში მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება, რომელიც უეჭველია, ბევრ სასარგებლო რამეს მოგვცემს. დაგვეხმარება გადაწყვეტილი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პრობლემა — ავამაღლოთ მთელი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა.

მაგრამ, მოდი, ჩვენს თავს ვკითხოთ: ისე ხომ არ გამოდის, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ექსპერიმენტების შედეგებს ელის და ამ მოლოდინით სურს შენიღბოს თავისი პასიურობა, ძველებურად მუშაობის სურვილი? რა თქმა უნდა, ეკონომიკური სტრუქტურების განახლება პასუხსავეს საქმეა. აქ ურიგო არ იქნება გვახსოვდეს ძველი ბრძნული ანდაზა: შეიღვერ



გაზომე და ერთხელ გასკერი. მაგრამ ეს სრულიად არ ამართლებს იმათ, ვისაც საერთოდ არ სურს ანგარიში გაუწიოს შეცვლილ პირობებს, ცხოვრების ახალ მოთხოვნებს.

მეტი დამოუკიდებლობა გამოიჩინონ ყველა დონეზე, გაბედულად ეძიონ, თუ საჭიროა, გამართლებული რისკით გასწიონ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გულისთვის, — აი რას მოველით ჩვენი სამეურნეო კადრებისაგან.

მოგესხენებათ, რომ შარშან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მთელი რიგი დადგენილებანი შეიმუშავეს და მიიღეს ეკონომიკის განვითარების პრინციპულ საკითხებზე. ამ გადაწყვეტილებებმა პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს მისცა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გარკვეული ბერკეტები.

დასახული ღონისძიებანი, მათ კი არა მარტო სამეურნეო, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვთ, მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ მათი შესრულება თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული მუშაკის ყოველდღიური მუშაობის მთავარი შინაარსი გახდება.

დღევანდელ ამოცანებს რომ ვწყვეტთ, ამით წინამძღვრებს ვუქმნით მომავალში გაცილებით უფრო მაღალი მიწების მიღწევას. იქნებ, ჩვენს ხვალისდელ დღეზე, მეთორმეტე ხუთწლეულზე დეტალურად ლაპარაკი ჭერ ნაადრევაც კი იყოს, მაგრამ მომავალი მუშაობის მთავარი პრობლემები, მთავარი მიმართულებანი უკვე დღეს მოჩანს.

ახალი ზუსტადი უზინარეს ყოვლისა წარმოებაში ღრმა თვისებრივი ცვლილებების დასაწყისი, ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაციის საქმეში გადაწყვეტი გარდატეხის ხუთწლეული უნდა გახდეს. თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ და მართვის სისტემამ ახალი, უფრო მაღალი თვისებები უნდა შეიძინოს.

ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს ახლა იმას, რომ უზრუნველყოთ საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირი. ეკონომიკის ვერ ავიყვანთ თვისებრივად ახალ დონეზე, თუ არ შევქმენით ამისათვის საჭირო სოციალური და იდეოლოგიური წინამძღვრები. ასევე შეუძლებელია სოციალისტური შეგნების განვითარების მომწიფებელი პრობლემების გადაჭრა, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მტკიცე საძირკველს თუ არ დავყვრდებით.

ახალი სამყაროს შენება ნიშნავს დაუცხრომლად ვზრუნავდეთ ახალი სამყაროს ადამიანის ჩამოყალიბებისათვის, მისი იდეურ-ზნეობრივი ზრდისათვის, როგორც მოგესხენებათ, სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილა იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები ცენტრალური კომიტეტის იგნისის პლენუმმა. მისი მითითებების შესაბამისად პარტია ეცდება ეს მუშაობა მთლიანად შეესაბამებოდეს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის დიდი და რთული ამოცანების ხასიათს.

გავიაროთ ეს ამოცანები კომპლექსურად. დავსახოთ მათი გადაწყვეტის ზუსტი გრძელვადიანი სტრატეგია, წარმოვაჩინოთ კომუნისტურ პერსპექტივასთან ჩვენი მიმდინარე საქმეების კავშირი — აი რა უნდა მოგვცეს პარტიული პროგრამის ახალმა რედაქციამ. მის მომზადებას ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გეგმების შემუშავებისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მსოფლიოში შექმნილი ვითარება. იგი კი, როგორც მოგესხენებათ, რთული და დაძაბულია. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ამ პრობლემაში პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სწორი კურსი საგარეო პოლიტიკის დარგში.

მტკიცე მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმისათვის ბრძოლა მუდამ

იყო იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ყურადღების ცენტრში. მისი ხელმძღვანელობით ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ და ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა ჩამოაყალიბეს აქტიური საგარეო პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ამ კეთილშობილურ პრინციპებს, პოლიტიკა, რომლის მიზანია თავიდან ააცილოს კაცობრიობას მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხე. მშვიდობის ეს ლენინური პოლიტიკა, რომლის ძირითადი ნიშნები თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე განსაზღვრეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უკანასკნელი ყრილობების გადაწყვეტილებებმა, შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, არსებითად კი მსოფლიოს სხვა ხალხთა ინტერესებსაც. ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ: ამ პოლიტიკას არც ერთი ნაბიჯით არ გადავუხვევთ.

სავსებით ცხადია, ამხანაგებო, რომ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდი იქნება მსოფლიო ასპარეზზე სოციალისტური ქვეყნების გავლენა, რამდენად აქტიური, მიზანსწრაფული და შეთანხმებული იქნება მათი მოქმედება. ჩვენი ქვეყნები უადრესად დანტერესებული არიან მშვიდობით. ამ მიზნის მისაღწევად ვეცდებით გავაფართოოთ თანამშრომლობა ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან. ყოველმხრივ ვავითარებთ და ვაღრმავებთ რა შეკავშირებასა და თანამშრომლობას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან — ყველა სფეროში, რა თქმა უნდა, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან სფეროშიც, როგორც ეკონომიკა — ამით დიდი წვლილი შეგვაქვს ხალხთა მშვიდობის, პროგრესისა და უშიშროების საქმეში.

ჩვენ მიემართავთ მომე ქვეყნებს და ვამბობთ: საბჭოთა კავშირის სახით თქვენ კვლავაც გეყოლებათ საიმედო მეგობარი და ერთგული მოკავშირე.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ბურჯი იყო და იქნება სოლიდარობა იმ ხალხებთან, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური დამოკიდებულების უღელი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგინეს; და განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ხალხებთან, რომლებიც იგერიებენ იმპერიალიზმის აგრესიული ძალების იერიშებს, იმპერიალიზმისა, რომელიც სისხლიანი ძალადობისა და ომის ხანძრების უადრესად საშიშ კერებს ქმნის მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში. იყო ხალხთა სამართლიანი საქმის მომხრე, იღვწოდეს ასეთი კერების მოსაპობისათვის — ეს დღესაც ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის საჭირო და დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჩვენი პარტიის პრინციპული პოზიცია ამ საკითხებში ნათელი, წმინდა და კეთილშობილურია, და ჩვენ მას განუხრვლად დავიცავთ.

ახლა, რაც შეეხება კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას. დიდმა ლენინმა გვიანდერმა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანარსებობის პრინციპი. ჩვენ მუდამ ერთგული ვართ ამ პრინციპისა. ახლა, ბირთვული იარაღისა და უზუსტესი რაკეტების საუკუნეში, იგი განსაკუთრებით სჭირდებათ ხალხებს, სამწუხაროდ, კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთ ხელმძღვანელს, როგორც ყველაფერიდან ჩანს, ნათლად არ ესმის ეს, ან არ სურს ესმოდეს.

ჩვენ კარგად ვხედავთ რა საფრთხეს უქმნის დღეს კაცობრიობას იმპერიალიზმის აგრესიული ძალების უგუნური, ავანტიურისტული მოქმედება — და ამას საქვეყნოდ ვამბობთ, რათა მთელი დედამიწის ხალხთა ყურადღება მივაპყროთ ამ საფრთხეს. ჩვენ არ გვჭირდება სამხედრო უპირატელობა, არ ვაპირებთ სხვებს ვუკარნახოთ ჩვენი ნება. მაგრამ მიღწეული სამხედრო თანასწორობის დარღვევის უფლება არაა მისი იცევივით. და დღე-ყველა კარგად იცოდეს: ჩვენ კვლავაც ვიზრუნებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის

თავდაცვისუნარიანობა, რომ გვქონდეს საკმარისი საშუალებანი, რომელთა მეშვეობით შეძლებულ იქნება ვაცხროთ ომის მოტრფილად თავრტყნული ავანტიურისტები. ეს, ამხანაგებო, მშვიდობის შენარჩუნების მეტად არსებითი წინამძღვრია.

საბჭოთა კავშირს, როგორც დიდ სოციალისტურ სახელმწიფოს, მთლიანად აქვს შეგნებული ხალხთა წინაშე თავისი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ჩვენ მზად ვართ ყველა კონტინენტის სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის. ჩვენ გვსურს სერიოზული, თანასწორუფლებიანი, კონსტრუქციული მოლაპარაკების გზით მშვიდობიანად გადაწყვეტოთ ყველა სადავო საერთაშორისო პრობლემა. სსრ კავშირი მხარში ამოუდგება ყველა სახელმწიფოს, რომელიც მზად არიან პრაქტიკული საქმეებით შეუწყონ ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მსოფლიოში ნდობის ატმოსფეროს შექმნას; სხვანაირად რომ ეთქვათ, იმათ, ვინც ნამდვილად წარმართავს საქმეს არა ომის მომზადებისათვის, არამედ მშვიდობის საფუძვლების განმტკიცებისათვის. და ჩვენი აზრით, საამისოდ სრულად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული ბერკეტი, მათ შორის, რა თქმა უნდა ისეთიც, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც სწორედ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით შეიქმნა.

ამხანაგებო, ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, გულწრფელად გვახარებს, რომ კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლისა და პროგრესისათვის ბრძოლაში მხარდამხარ მიგაბიჯებთ მილიონობით კლასობრივ მტკბთან, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მრავალრიცხოვან რაზმებთან ერთად. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის მუდამ ერთგულნი, მხურვალე სიმპათიითა და ღრმა პატივისცემით ვეკიდებით ჩვენი საზღვარგარეთელი ამხანაგების ბრძოლას მშრომელთა ინტერესებისა და უფლებებისათვის და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ყოველნაირად განვამტკიცებდეთ მათთან კავშირს.

აი რა მინდობა მეთქვა დღეს საერთაშორისო საქმეებში ჩვენი პარტიის გეზის შესახებ. და დარწმუნებული ვართ, რომ მას სულითა და გულით მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი.


ამხანაგებო!

მთელ თავიანთ მიღწევებს საბჭოთა ადამიანებმა განუხრვლად უკავშირებენ პარტიის საქმიანობას. მასების უხალღვროდ ერთგული პარტია მასების სრული ნდობით სარგებლობს.

ეს-ეს არის პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. მან კვლავ გვიჩვენა კომუნისტთა შეგნებისა და აქტიურობის მაღალი დონე. ხელმძღვანელ პოსტებზე არჩეული არიან ავტორიტეტის, გამოცდილი, მცოდნე ადამიანები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები. თქვენ, ამხანაგებო, გვინდა განსაკუთრებით მოგმართოთ. ცენტრალურმა კომიტეტმა კარგად იცის, რაოდენ ფართოა თქვენი მოვალეობების, თქვენი საზრუნავის წრე. იცის, თუ რა ბევრი რამ არის თქვენზე დამოკიდებული ჩვენი მიმდინარე უახლოესი და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაში. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური დარწმუნებულია, რომ ყველაფერს იღონებთ, რათა უზრუნველყოთ სამარწველო წარმოების ზრდის სტაბილური ტემპი, სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულება, მასების შრომითი აქტიურობის განვითარება, იმ ღონისძიებათა რეალიზაცია, რომელთა მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება და ამით პარტიის ავანგარდული როლის გაძლიერება.

ჩვენს პარტიაში ყოველგვარი არჩევითი პოსტა პასუხისმგებობა პოსტია. პარტიულ კომიტეტში არჩევა უნდა მივიჩნიოთ თავისებურ ნდობის კრედიტად. რომელსაც პარტიის წევრები თავიანთ ამხანაგებს



აძლევენ. და ეს ნდობა თავდადებული შრომით უნდა გავამართლოთ. ასეთია განვლილი კრებებისა და კონფერენციების მონაწილეთა განაწესი. ახლა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, ამ მომთხოვნ განაწესს პარტია გადასცემს იმ კომუნისტებსაც, რომლებიც დეპუტატობის კანდიდატებად არიან დასახელებული და შევლენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

საბჭოთა კომუნისტების დაუშრეტელი ძალა მათი რიგების შეკავშირება. ეს ძალა სრულად

ვლინდება მაშინ, როცა, როგორც ლენინი ამბობს, „ჩვენ ყველანი, პარტიის წევრნი, ვმოქმედებთ, როგორც ერთი კაცი“. სწორედ ასე ერთსულოვნად შეკავშირებულად მოქმედებს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბირთვი — ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო. ეს საშუალებას გვაძლევს ვიღებდეთ შემოწმებულ, ყოველმხრივ აწონ-დაწონილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განამტკიცებენ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის კავშირს, საბჭოეთის ხალხთა ძმურ მეგობრობას.

ნამდვილად პარტიული, საქმიანი და შემოქმედებითი ატმოსფერო, რომლის შექმნასაც ამდენი ძალაღონე მოახმარა იური ვლადიმერის ძე ცენდრაძეც, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მსუბუქი უცილობელი პირობა იყო და იქნება. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის შემდგომი ზრდის, ჩვენ წინაშე დასახული კომუნისტური აღმშენებლობის დიდი და რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საწინდარი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ნაპრის,

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, მსოფლიო კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ დიდი დანაკლისი განიცადეს. აღარ არის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი — ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამორჩეული მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მშვიდობისა და კომუნისმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

მოკლე ვადის, წელიწადზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა იური ვლადიმერის ძე ცენტრალურ კომიტეტს. მაგრამ ამ დროის განმავლობაში ძალზე ბევრი რამ მოასწრო. პარტიამ, რომელიც განუხრელად მისდევდა და შემოქმედებითად ამდიდრებდა XXVI ყრილობის კურსს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით.

მრავალმხრივი იყო იური ვლადიმერის ძის მოღვაწეობა პასუხსაგებ პოსტებზე, რომლებსაც პარტია ანდობდა, იგი მთელ ძალ-ღონესა და ცოდნას ახმარდა ხალხის ინტერესების სამსახურს.

თითოეულ ჩვენგანს კარგად ახსოვს იური ვლადიმერის ძის დრამატიკული სიანი გამოსვლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და მომდევნო პლენუმებზე, გამოხსვლები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სოციალიზმის უპირატესობათა რეალიზაციის, კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა გადაჭრის მკაფიო პროგრამა.

იგი მარჯვედ და ენერგიულად წარმართავდა ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს საქმიანობას, რათა დაერაზმა კომუნისტები, ყველა მშრომელი ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის, ორგანიზებულიობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის.

იური ვლადიმერის ძე მუდამ ეყრდნობოდა კოლექტიურ გამოცდილებას, ზუსტად უღებდა ალღოს საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნის და დიდ პირად წვლილს მატებდა პარტიის მუშაობას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების გადიდებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთ-

ილდებობის გაუმჯობესებისათვის.

იგი განუხრელად იბრძოდა პარტიის მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის — თერმობირთვული ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების მტკიცე მოგერიების კურსის თანამიმდევრული რეალიზაციისათვის.

ყველანი ღრმად განვიცდით დიდ უბედურებას, რომელიც ჩვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს ეწია, მაგრამ ლენინელ კომუნისტთა ვალია კიდევ უფრო მეტი დროდ შეკავშირდნენ, განამტკიცონ პარტიის და ხალხის ერთიანობა.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმში მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს პარტიის ურყევ მისწრაფებას — კვლავაც მტკიცედ და თანამიმდევრულად იაროს სწორი ლენინური კურსით.

განუხრელად და მიზანდასახულად განხორციელდება გეზი, რომელიც შეიმუშავეს სკკპ ისტორიულმა XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა, გეზი, რომლის მიზანია უზრუნველყოფით წარმოების ინტენსიფიკაცია, ავამაღლოთ ეკონომიკის ეფექტიანობა, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვანობოთ სასურსათო პროგრამა, კიდევ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

პარტია კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურღვევ კავშირს, ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმურ მეგობრობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო მუდამ უერთგულდებნენ ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის იდეალებს, სოციალური პროგრესის იდეალებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

პოლიტბიურომ განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საკითხი და ერთსულოვნად დამავალა პლენუმს შემოვთავაზო ავირჩიოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად

ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენკო.

კონსტანტინე უსტინის ძემ დიდი ცხოვრებისეული სკოლა გამოიარა. მან იცის ძნელი გლეხკაცური შრომაც და ჯარისკაცული სამსახურიც, სოფლის რაიკომის ყოველდღიური მუშაობაც.

იგი მრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა პარტიული მუშაობის პასუხსაგებ უზნებს კრასნოიარსკის, პენზის, მოლდავეთის პარტიულ ორგანიზაციებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

სადაც უნდა ემუშავა კონსტანტინე უსტინის ძეს, იგი ყველგან იჩენდა თავს მასების ნიჭიერ ორგანიზატორად, მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტად, ჩვენი დიდი პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ურყევ მებრძოლად.

კომუნისტები, საბჭოთა ადამიანები კონსტანტინე უსტინის ძეს კარგად იცნობენ, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამორჩეულ მოღვაწეს, ლენინური ტიპის ისეთ ხელმძღვანელთა ერთგულ თანამოსაგრეს, როგორებიც იყვნენ ლენინი ილიას ძე ბრეჟნევი და იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოში მუშაობისას კონსტანტინე უსტინის ძემ ბევრი რამ იღონა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური სტილის განვითარება-დამკვიდრებისათვის, რომელსაც ახასიათებს საზოგადოებრივი განვითარების საკვანძო საკითხთა ღრმა გაგება, რეალისტური მიდგომა მიღწეულისა თუ გადასაწყვეტი პრობლემების შეფასებისადმი, მაღალი მომთხოვნელობა კადრების მიმართ და ამასთანავე კეთილმოსურნე დამოკიდებულება მათადმი, მშრომელთა ინიციატივასა და გამოცდილებაზე დაყრდნობა.

კონსტანტინე უსტინის ძე გამოირჩევა უნარით, ფრთა შეასხას ადამიანებს თავისი ენერგიით, ნებისმიერი საქმისადმი ნოვატორული დამოკიდებულებით, შეაკავშიროს ამხანაგები ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობისათვის.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო მისი მუდმივი მოთხოვნილება იქო-

ნოს მასებთან ცოცხალი ურთიერთობა, მისი ყურადღება ყოველადამიანის ბედისადმი — იქნება ეს ნიჭიერი მეცნიერი თუ წარჩინებული მეტალურგი, ჯარისკაცის დედა თუ ახალგაზრდა მწერალი.

კონსტანტინე უსტინის ძეს თვალსაჩინო როლი ეკუთვნის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემების დამუშავებაში, ხანგრძლივი პერსპექტივისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის ერთიანი კონცეფციის შექმნაში.

კონსტანტინე უსტინის ძე უაღრესად აქტიურად მონაწილეობს ჩვენი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებათა ჩამოყალიბებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობაში საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განსამტკიცებლად.

ჩვენმა სამხედრო მუშაკებმა იციან, თუ რაოდენ ბევრს მუშაობს კონსტანტინე უსტინის ძე საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან, შეიარაღებული ძალების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვასთან, არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის იდეურ წრთობასთან.

პოლიტბიუროს სწამს, რომ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენკო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე ღირსეულად გაუძღვება ჩვენი პარტიის მებრძოლ შტაბს.

კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, ხელთ აქვთ ზუსტი და მკაფიო სამოქმედო პროგრამა, რომელიც პარტიის XXVI ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა შეიმუშავეს, ოპტიმიზმით შეჰყურებენ მომავალს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებული შრომით უზრუნველყონ ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომი აყვავება.



ამხანაგებო! ვამთავრებთ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმს, რომელიც პარტიისა და ხალხის ცხოვრების პასუხსაგებ მემენტში შეიკრიბა. პლენუმმა ერთიანობისა და დარაზმულობის ვითარებაში ჩაიარა. პლენუმზე პარტიისა და ხალხის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით გადაწყდა ხელმძღვანელობის შემკვლადრობითობის საკითხები.

პლენუმმა ცხადყო, რომ პარტია კვლავაც გაჰყვება ლენინურ კურსს, რომელიც შემოქმედებს სსკპ XXVI ყრილობამ, ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმებმა. ამის აშკარა დადასტურება იყო ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ერთსულოვანი არჩევა სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე, პარტიისა და სა-

ხელმწიფოს საშინაო პოლიტიკისა და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის პრობლემებზე იმ დებულებებისა და დასკვნების სრული მხარდაჭერა, რომლებიც გამოთქმულია მის გამოხველაში სსკპ ცენტრალური კომიტეტის დღევანდელ პლენუმზე. ნება მიბოძეთ პოლიტიბიუროს სახელით გამოვთქვა რწმენა, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრები, პლენუმის ყველა მონაწილე, დაბრუნდ-

ბიან რა ადგილებზე, პარტიულ ორგანიზაციებში იმოქმედებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმისათვის დამახასიათებელი ერთიანობისა და დარაზმულობის, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. გისურვებთ წარმატებებს მუშაობაში. პლენუმი დახურულად ცხადდება.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო დაიბადა 1911 წლის 24 სექტემბერს კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის, სოფელ ბოლშაია ტესში, რუსია.

1931 წლიდან არის სსკპ წევრი. განათლება უმაღლესი — დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და სსკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტორგანიზატორთა უმაღლესი სკოლა.

შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერნენკომ ადრეული ასაკიდან დაიწყო, როცა მოჯამაგირედ მუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შემდგომი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ხელმძღვანელ მუშაობასთან კომკავშირულ, შემდეგ კი პარტიულ ორგანოებში. 1929-1930 წლებში კ. უ. ჩერნენკო იყო სრულიად საკავშირო ალკკ კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. 1930 წელს მოხალისედ წავიდა წითელ არმიასში. 1933 წლამდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო სასაზღვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ჯარში სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერნენკო მუშაობდა კრასნოიარსკის მხარეში: პარტიის ნოვოსელოვოსა და უიარის რაიონების პროპაგანდისა და აგიტაციის

განყოფილების გამგედ, კრასნოიარსკის მხარის პარტიული განათლების სახლის დირექტორად, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანად.

1943 წლიდან კ. უ. ჩერნენკო სწავლობს სსკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტორგანიზატორთა უმაღლეს სკოლაში. სწავლის დამთავრების შემდეგ 1945 წლიდან მუშაობს პარტიის პენზის საოლქო კომიტეტის მდივანად.

1948 წელს გაგზავნეს მოლდავეთის სს რესპუბლიკაში და დაამტკიცეს მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობისას მან დიდი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარა რესპუბლიკაში ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობას, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას.

1956 წელს კ. უ. ჩერნენკო დააწინაურეს სსკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში სამუშაოდ, სადაც იგი სათავეში ჩაუდგა სექტორს პროპაგანდის განყოფილებაში, და ამავე დროს დაამტკიცეს ჟურნალ „აგიტატორის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. 1960 წლიდან იგი მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-

დიუმის სამდივნოს უფროსად. 1965 წელს კ. უ. ჩერნენკო დაამტკიცეს სსკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. 1966-1971 წლებში იგი სსკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია. პარტიის XXIV ყრილობაზე (1971 წლის მარტი) მას ირჩევენ სსკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტში პარტიის XXV ყრილობის შემდეგ გამართულ სსკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე — სსკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანად.

1977 წლიდან იგი პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატია, ხოლო 1978 წლიდან — სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი. იგი სსრ კავშირის მე-7—10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ მე-10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. კ. უ. ჩერნენკო იყო საბჭოთა დელეგაციის წევრი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო თათბირზე (ჰელსინკი. 1975 წელი). მონაწილეობდა ვენაში განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებაში (1979 წელი).

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა, ყველა პოსტზე, რომელიც კი

პარტიას მიუხედავად მისთვის, იგი ავლენდა დიდ ორგანიზატორულ ნიჭს, პარტიულ პრინციპულობას, ლენინის დიადი საქმის, კომუნისმის იდეალების ერთგულებას. კ. უ. ჩერნენკო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის გაზრდის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი სამეცნიერო შრომების ავტორია, სსკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე კ. უ. ჩერნენკომ გააკეთა მოხსენება, რომელშიც განსაზღვრულია თანამედროვე პირობებში სსკპ იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესების მთავარი მიმართულებანი.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ორგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედლით. იგი ლენინური პრემიის ლაურეატია.

კ. უ. ჩერნენკო დაჯილდოებულია სოციალისტური ჭეყენების უმაღლესი ჯილდოებით.



იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი



სკკპ ცენტრალური კომიტეტის,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
მ ი მ ა რ ტ ი ვ ა
კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!
 საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭო-
 თა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაცვალდა ლენინუ-
 რი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამორჩენილი მოღვაწე,
 სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მშვიდობისა
 და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იური ვლადი-
 მერის ძე ანდროპოვი.

მისი სიცოცხლე პარტიისა და ხალხის ინტერესების, ლენინის
 დიდი საქმის თავდადებული სამსახურის ნიმუშია, ყველა პოს-
 ტზე, სადაც კი პარტიის ნებით შრომობდა იური ვლადიმერის ძე
 ანდროპოვი, იგი თავის ძალ-ღონეს, ცოდნას, უდიდეს ცხოვრე-
 ბისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განუხრელ
 განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის
 ბრძოლას. დიდი პოლიტიკური ხელმძღვანელის თვისებები მკა-
 ფიოდ გამოვლინდა ი. ვ. ანდროპოვის მთელ მრავალმხრივ საქ-
 მიანობაში — კომკავშირულ სამუშაოებზე და კარელიაში დიდი
 სამამულო ომის წლების მანძილზე პარტიზანული მოძრაობის
 ორგანიზაციაში, პარტიული და დიპლომატიური მოღვაწეობის
 პასუხსაგებ უბნებზე. დიდი შრომა გასწია მან ჩვენი სახელმწი-
 ფოს უშიშროების განსამტკიცებლად.

ამხანაგ ანდროპოვის — ლენინური ტიპის ხელმძღვანელის
 უდიდესი ნიჭი და ორგანიზატორული ტალანტი მთელი ძალით
 გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივ-
 ნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯ-
 დომარის პოსტებზე მუშაობისას.

ხანმოკლე იყო ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობა სკკპ ცენტრა-
 ლური კომიტეტის მეთაურად. მაგრამ ამ დროის მანძილზე პარ-
 ტიამ, რომელიც XXVI ყრილობის კურსს ადგას და შემოქმედე-
 ბითად ავითარებს მას, უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა
 ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართუ-
 ლებით.

პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, მათი ურღვევი ერთიანო-
 ბის განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვებები გახდა
 სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის
 ივნისისა და დეკემბრის პლენუმები. პლენუმების გადაწყვეტილე-
 ბებში, ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში განვითარებული და და-
 კონკრეტებული იყო პარტიის თანამედროვე სტრატეგია — მომ-
 წიფებული სოციალიზმის სრულყოფის სტრატეგია.

ამ პერიოდში პარტიისა და ხალხის ძალისხმევა ხმარდებოდა
 ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას, სახალხო მეურნეობის
 მართვის გაუმჯობესებას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის
 დისციპლინის განმტკიცებას, კადრების პასუხისმგებლობის ამა-
 ლლებას, მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებას.

პარტიის ღონისძიებანი ექვემდებარება ერთ მიზანს — საბ-
 ჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საბჭოთა სა-
 ხელმწიფოს ძლიერების ზრდას. ყოველივე ამაში დიდა იური
 ვლადიმერის ძე ანდროპოვის დამსახურება.

მნიშვნელოვანია ი. ვ. ანდროპოვის წვლილი სოციალისტური
 თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივ თანამშრომლობის გან-
 ვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაო-
 ბის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლე-
 ბისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭე-
 რაში.

მისი ხელმძღვანელობით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და
 საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორ-
 ცილებდნენ საერთაშორისო ასპარეზზე ლენინურ საგარეო-პო-
 ლიტკურ კურსს — თერმობირთვული ომის საფრთხის აღკვე-
 თის, იმპერიალიზმის აგრესიული სრიკების უკუგდების, ხალხთა
 მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსს.

ამ მწუხარების დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხა-
 ლის კიდევ უფრო მჭიდროდ ირავებიან პარტიის ცენტრალუ-
 რი კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს
 გარშემო. საბჭოთა კავშირის მშრომელებს კომუნისტური პარტია

მიანიათ თავიანთ ნაცად, კოლექტიურ ბელადად, მტკიცედ აქვთ
 გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ მისი საშინაო და საგა-
 რეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც ხალხის სა-
 არსებო ინტერესებს გამოხატავს. პარტიის ლენინური კურსი
 ურყევია. პარტია აღჭურვილია სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენ-
 ტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავე-
 ბული მოქმედების ნათელი და მკაფიო პროგრამით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც მტკიცედ
 და მიზანმიმართულად განხორციელებს წარმოების ყოველმხრი-
 ვი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქა-
 რების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერების, ხალ-
 ხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუხრელი
 ამაღლების გეზს. იგი განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურ-
 ნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურღვევ კავშირს, სსრ კავში-
 რის ხალხთა ძმურ მეგობრობას, განავითარებს სოციალისტურ
 დემოკრატის, აღზრდის ადამიანებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და
 პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნიზმის დიდი იდე-
 ალების ერთგულების სულიკვეთებით.

ახლანდელ რთულ, საშიშად გამწვავებულ საერთაშორისო
 ვითარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა
 სახელმწიფოს თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიანიათ თან-
 მიმდევრულად დაიცვან მშვიდობის საქმე, გამოიჩინონ მტკიცე
 ნებისყოფა და სიფხიზლე, გადაჭრით ჩაშალონ იმპერიალიზმის
 ავანტიურისტული ზრახვები, განამტკიცონ ქვეყნის თავდაცვითი
 ძლიერება.

საბჭოთა ხალხი იმის მტკიცე მოწინააღმდეგეა, რომ სადავო
 საერთაშორისო საკითხები ძალის მეოხებით გადაწყდეს. უომო
 მსოფლიო ჩვენი იდეალია. მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში
 ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, კომუნი-
 სტური და მუშათა პარტიები, ეროვნული და სოციალური გან-
 თავისუფლებისათვის მებრძოლნი, ხალხის ფართო მასები, რომ-
 ლებიც თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათ-
 ვის იღვწიან.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო კვლავაც მტკიცედ და განუხ-
 რელად განხორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობი-
 ლების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს.
 ჩვენ გვსურს მშვიდობით ვიცხოვროთ ყველა ქვეყანასთან, აქტი-
 ურად ვითანამშრომლოთ იმ მთავრობებთან და ორგანიზაციებ-
 თან, რომლებიც მზად არიან პატიოსნად და კონსტრუქციულად
 იმუშაონ მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ხალხმა მტკიცედ იცის: პარტია, ცენტრალური კო-
 მიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბირთვი ლენინური დროშის, დიდი
 ოქტომბრის საქმის ურყევად ერთგულნი არიან. პარტია დიდად
 აფასებს ხალხის ნდობას და თავისი საქმიანობის უმაღლეს მიზ-
 ნად მიანიჩა ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და
 ბედნიერებისათვის. პარტიისა და ხალხის ერთიანობა იყო, არის
 და იქნება ჩვენი ძლიერების წყარო.

კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში იური
 ვლადიმერის ძე ანდროპოვი ყოველთვის დარჩება როგორც
 მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრების უსაზღვროდ ერთგული,
 პრინციპული და თავმდაბალი, მშრომელ ადამიანებთან დაახ-
 ლოებულები, მათი საჭიროებებისა და საზრუნავისადმი გულისხ-
 მიერი ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევდა, ყველაფერი სოცია-
 ლისტური სამშობლოს ინტერესებისათვის დაექვემდებარებინა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კო-
 მიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავ-
 შირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ
 კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ახალი ძალით გამოიჩე-
 ნენ თავიანთ კლასობრივ შეგნებასა და ორგანიზებულობას, თა-
 ვიანთ მაღალ კოლექტივისტურ თვისებებს, მიზანდასახული, თავ-
 დადებული შრომით უზრუნველყოფენ სახალხო-სამეურნეო გიგ-
 ნებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას,
 ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.



ლი მაროდორები წამაწყდნენ ცოცხალ-მკვლარს, ურცხვად მიფათრებენ ხელებს მკერდზე, წამგლოჭეს მელალონი, რომელშიც ჩემი სახელი და გვარია აღნიშნული. გათავდა, მიცვალეულ ადამიანადც აღარ ვითვლები — უსახელო, უცნობი, უპატრონო. მათი ხელები განაგრძობენ ფათურს. ჭერ კიდევ მფეთქავ გულს მუჭში ჩაიბლუკავენ ოფლიანი თითებით და გული ცახცახებს მიწისძვრისგან შექანებული პლანეტასავით. მკვდარი სხეულის ცოცხალი გული, ყველა გულზე უფრო ცოცხალი და ძაღლივით ერთგული. ეტყობა, ჩემზეც შეირყა ჭკუიდან ანატომია. მთელი სხეული გულად გადამიქცია და თხემით ტერფამდე გუგუნებს გული.

...გრძელი და ჭანგისფერი რეზინის შლანგი, ალაგ-ალაგდა რომ შერჩენოდა ადრინდელი სიზავე, მორჩალად გაწოლილიყო მიწაზე. წყლის მძლავრი ნაკადი მოუთმენლად ასკდებოდა შლანგის დაქიმულ კედლებს, გარეთ გასახვლელ გაზს ეძებდა და მოჭარბებული შესულით მიისწრაფოდა საშველად. ცეცხლი ეკიდა ბურქებს და ხეებს, ტკაცუნით იწვოდა მწვანე ტოტები. მაგრამ სასწაულმოქმედი შლანგი ერთბაშად აქრობდა ხანძრის პრიალა ენებს. ხეები ყვიროდნენ: დაიცლება, დაიცლება! შლანგიდან კი უწყვეტად მოდიოდა წყალი და სიგრილეში ყვინთავდა მთელი ბაღი, მშვიდდებოდა. ნებივრად ნაბანავები ფოთლები ისევ სუნთქავდნენ. ხის ძირში რჩებოდა ქაფიანი წყლის გუბე და ატლახებული მიწა ეკვროდა ფეხ-

საცმელს. მერე უმისამართოდ ისროდა შლანგი წყლის მსხვილ ჭავლს.

ქალს ჰქონდა წვრილი ფეხები, თითქოსდა დროებით იყო ჩამოსული დედამიწაზე სხვა პლანეტიდან და ქალის სხეულს ძლივს იმაგრებდნენ მისი მზემოკიდებული ფეხები. კაბა ღრმად ამოჭრილი იყო მკერდსა და ზურგზე. შიშველი და სახვე მკლავები უთანახებდა. მუხლს ზემოთ ავარდნილი კაბა გამოშვავდა აშიშვლებდა მზედაკრულ ბარძაყებს. ქალი კისკისებდა. ალბათ, მთელი სხეული გაშვავებული ჰქონდა, მაგრამ რაღაც ხომ დარჩებოდა თეთრი, რასაც მზის სხივი ერთხელაც არ მიჰკარებია. სითეთრე საღდაც იყო მიმალული, დანარჩენი მთელ ჭკვეანას ეკუთვნოდა — მზის სხივებსა და ხარბ თვალებს. სითეთრე მხოლოდ შენია, სხვისთვის თვალმიუკარებელი და ხელმიუწვდომელი სითეთრე.

მიშყავდა ფერდებმონგრეული ქოხებისა და ჩაუნგებული ბარაკების გასწვრივ. გზა ტალახიანი გუბეებით იყო მოფენილი. მზის სხივები აშრობდა ოთახის ნესტიან კედლებზე მიმოფანტულ სველ ლაქებს და ყველაფერი ქაბაბებდა ოთახში. კეტაკ-და ღარბებს და სიბნელეში ხელის ფათური ეძებდა ქალს. ის კი იცინოდა, პოულობდა სიცილს, კოცნიდა და იმეორებდა ერთადერთ სიტყვას: ღინა, ღინა... უხაროდა, რომ მეტს ვერაფერს ამბობდა გამშრალი პირით. ქალი იცინოდა, მხიარული და კმაყოფილი. პირზე ხელს აფარებდა, მუზოხლებმა არ გაიგონონო. ქალის სიცი-

ლი მზის ბურთივით გორაობდა ოთახში.

თეფშზე ეყარა ყურძენი, იღებდა გათქვირულ მტევანს და გულუბრყვილო დიმილით ამბობდა: ღინა! ჭდებოდა კრიალა მატარებელში, სარკმლიდან გაპურებდა ამწვანებულ მთებს და ეს იყო ღინა.

...გაღვიძება უეცარია. გაუნდელი ვწვევარ ტანტზე. ბნელა. შუბლზე ვგრძნობ ღინას თითებს, მერე — თმაზე. თითქოს ამოწმებს, ყველაფერი აღვიღწეა თუ არაო. თვალს არ ვახელებ. მე ვაფათურებ თითებს მის ლოყებზე და თითები რატომღაც მისველდება.

— პიატრას, პიატრას!
— ღინა, ღინა!
— სად გაქრი, პიატრას, ეგრე უნდა მიმატოვო?
— შენ თვითონ საღდაც დაიკარგე. მომხეზრდა სმა და წამოვედი.

„ღალიე, ბებერო, არაყი ყველა ტივილს არჩენს, ყველა სნეულეებას კურნავს. დალიე, ბებერო, მშვენიერი არაყია!“ — ისევ ჩამესმის ყურში მეგობრული მიმატიეება ცნობილი კინომსახიობისა.

ნაბახუსევ, გავარვარებულ ტვიწნი ფიქრები ფუსფუსებენ ჭიანჭველებივით, რომელთაც საკუთარ თავზე ათჯერ მძიმე ტვირთი წამოუკიდიათ.

„ძვირფასო, ტბილო, სამჭერ რომ უარყუო, სამჭერვე შემინდობ, სამჭერ დაგებრუნდები და ჩაგაბარებ ჩემს სულს!“ — მე ვეუბნები თუ ის

ჩამჩურჩულებს, ველარ გამიგია. არა, სამჭერ ცოტაა, სამასჭერაც რომ უარყუო, სამასჭერვე შემინდობ. და შენც სამასჭერ რომ უარყუო, სამასჭერვე შეგინდობ.

რაღაც მძიმე საგანი გრუნუნებს თავში და აქეთ-იქით ტტუნაობს, როგორც სატვირთო მანქანის ცარიელ ძარაში მიგდებული კასრი.

— რატომ არ შორდები, ბებერო?! სანამ თვითონ არ დაგშორდება, — ამბობს ჩემი ძმაცოც.

— მიყვარს, გესმის, მიყვარს ჩემი ღინა.

— შენი ღინა?
— ჰო, ჩემი ღინა.
— გიყვარს... შენი ღინა?
— ჰო, მიყვარს... ჩემი ღინა!

ყველაფერი უკვე ითქვა. ამაზე მეტი რა უნდა გვეთქვა. მთვრალეები რომ ვიყოთ, ენის ბორძიკით ვიტყვოდით ქალაღლზე დაუწერელ სიტყვებს. ნუთუ მხოლოდ დავშიფრეთ სიმთვრალეში წამოსაცდენი ჩვენი სათქმელი? არა, ძალიან კარგად ვთქვით, რაც უნდა გვეთქვა, ქალაღლზე მილიონჯერ დაწერილი სიტყვებით. მაგრამ ეს მაინც ჩვენი სიტყვებია და სხვას არ ეკუთვნის. თუკი ვინმე გვისმენდა და მან მოინდომა გაშიფრვა, ალბათ, ქალაღლზე დაუწერელ სიტყვებსაც ამოიკითხავს. მარტვი უარობოდ მოეჩვენება შიფრი. მაგრამ ყოველ შიფრს თავისი გასაღები აქვს. და არავინ იცის ჩემი გასაღები. და არავინ იცნობს ჩემს ღინას.



შეკრება

იმ დღეს რომ არა, ეს დღესაც არ გვექნებოდაო. სოფელში ერთად რომ შეიყრებიან ხოლმე, ასე მადლიერებით იგონებენ წარსულის იმ ერთ დღეს.

ფიქრები: ალბათ, უთუოდ დიდი რამ გაკეთდა იმ დღეს.

არა. მაშინ არაფერიც არ გაკეთებულა...

მხოლოდ... მხოლოდ ითქვა.

მანც, რა ითქვა ასეთი ან სად ითქვა?

სოფლის ბოლოს დიდ მინდორზე ბიჭებს სტადიონი აქვთ. ყველაფერს თავისი სახელი აქვს და უსახელოდ არც ეს სტადიონია. „მერცხალი“ დაურქმევიათ, გუნდაც „მერცხალი“ ჰქვია.

ზაფხულობით, თითქმის ყოველ კვირადღეს, იმართება აქ შეხვედრები. მაშინ მაყურებლებიც ბლომად მოდიან. ისინი სხდებიან მხოლოდ ერთ მხარეზე, სტადიონის აღმოსავლეთით, იქ, სადაც მინდორი თავდება და შემალღებელი ადგილი ვიწრო ზოლად გაწოლილი. აქედან ძალიან კარგი საცქერია. ეს ადგილი თითქოს ხელოვნურად აუმაღლებიათ. თითქოს კი არა და, მართლაც, ხელოვნურად არის გაკეთებული, მაგრამ...

რისთვის? ეს ყველაზე მოხუცმა ტარიელმა იცის.

კვირა დღე იყო.

„მერცხალმა“ თავის სტადიონზე მიიღო მეზობელი სოფლის ფეხბურთელთა გუნდი.

იმ დღეს ტარიელიც მობრძანდა.

მას, ალბათ, თავისი ახალგაზრდობის განსენება სურდა. მისი მოსვლა და, ახალგაზრდებმა მიიწვი-მოიწიეს. კარგი ადგილი დაუთმეს.

ჯერ გუნდები არც იყვნენ გამოსული.

— რა მშვენიერი ადგილია. აქედან ყველაფერი კარგად ჩანს. ნამდვილად მაყურებლებისთვის არის გაკეთებული. — თქვა ერთმა ბიჭმა.

ამის გაგონება და, ტარიელი იმ ბიჭისაკენ მიბრუნდა:

— ყმაწვილო, ეს ამალღებული ადგილი რომ გაჩნდა, მაშინ შენოდენაც არ ვიყავი. მახსოვს: უფროსებმა მოილაპარაკეს წისქვილი დავდგათო, ჯერ არხი გაჭრეს. აი, სწორედ იმ არხიდან ამონაყარმა მიწამ გააჩინა ეს ამალღებული ადგილი. წისქვილი დადგეს იქ, ეჭე, დიდი ტირიფი რომ მოჩანს. — ახლა ტარიელმა იმ წისქვილის ნაფქვავეც გაიხსენა. — ოჰო, ჰო, ჰო, რა გამტკიცულივით ფქვილი იცოდა! ის ამ სოფლის მშვენიერაც იყო და სიმდიდრეც. მაშინ არც რადიო გვქონდა, ტელევიზორი ხომ, სულ არავინ იცოდა. წისქვილი იყო ახალი ამბების შემომტანი სოფელში.

— წისქვილი ახლაც ხომ შეიძლება დაიდგას? — შეეკითხა ერთი.

— მერე, ვინ არის დამდგმელი? — კითხვას კითხვით უპასუხა ტარიელმა.

— ჩვენ! — ახლა სხვა მხრიდან წამოძახა ვიღაცამ.

— ეჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ მავ ერთი პატარა სიტყვის თქმასავით ადვილი იყოს ამის გაკეთება!

— არხი გვაქვს! — გაისმა.

მერე ჩამოთვალეს, რაც საჭირო იყო წისქვილის გასამართავად, ზოგმა რა თქვა და ზოგმა რა.

— გათავდა, წისქვილი გვაქვს, — ჩილაპარაკა ერთმა უფანის კაცმა და ბოლოს ხუმრობით დაუმატა, — საფქვავეს მე ჩამოვიტან.

ეს ამბავი ითქვა „მერცხალის“ სტადიონზე.

დაირაზმნენ ახალგაზრდები.

თავისუფალ დროს, ვინ იცის, რას აღარ აკეთებდნენ წისქვილის გასამართავად. ამ საქმემ ბევრი სახელი გამოაჩინა: ელგუჯა, კუჭური, ოთარი, რომანი, იუზა, ბონდო, ჟორა...

წისქვილი ისევ ძველ ადგილზე დადგეს. ნელა, მაგრამ საქმე წინ მიდიოდა. იარა, იარა და ბოლოს მდინარის ნაწილში გზა ახალი მიმართულებით დაიდო. ჯერ

ნელა მიტორტმანებდა წყალი. როცა მას არხზე გადადგმული წისქვილის ქვეშ გაძრომის უამი დაუდგა, უცებ ღარში კისრისტეხით ჩაეშვა.

ამ წისქვილზე რას აღარ ამბობდნენ. ერთმა ისიც კი თქვა: ნეტავ ვინ ითავა ეს კარგი საქმეო?

მოხუცმა ტარიელმაო, მიაგეს პასუხი.

ტარიელს იქ ერთი ფიცარიც არ აუწევია, შთამაგონებელი კი, მართლაც ის იყო.

ქუჩის დასა...

სოფელი რამდენიმე კილომეტრზეა გადაჭიმული. მართლაც რომ გადაჭიმული!

შუა სოფელში გაწოლილია მაღალი სერი. ამ სერზე ხურჯინივით არის გადაკიდებული მთელი სოფელი. მცხოვრებთა მისაკლევად დათქმული აქვთ გამოღმა და გადაღმა უბანი.

ახლა, რომელია გამოღმა და გადაღმა?

ამის განმსაზღვრელია ქალაქი, საიდანაც სოფელი იწყება. ქალაქიდან შუა სერამდე გამოღმა უბანს ეძახიან, ხოლო შუა სერს იქით — გადაღმა უბანი ჰქვია.

სოფლის გამყოფი სერი თავისთავად ყველგან მაღალია, მაგრამ ერთ ადგილზე კიდევ უფრო ძალიან არის ამალღებული. ეს მთელი სერის მწვერვალია. იგი არა მარტო ამ სოფლის ყოველი კუთხიდან ჩანს კარგად, არამედ — მეზობელი სოფლებიდანაც. სწორედ ამ უმაღლეს ადგილზე აუგიათ ეკლესია ძველად. მისი თეთრი, ქათქათა კედლები ვის ყურადღებას არ მიიქცევს? მას დიდი ეზო აქვს, მოფენილია საფლავის ლოდებით, ერთნაირად გათლილ-გამოკუთხული გრძელი ქვებით.

ეს ეკლესია დიდხანს იყო მიტოვებული. ჯერ სახურავი ჩაენგრა, მერე იწყო ჩამოშლა. განა ამას ვერავინ ხიდავდა? ხედავდნენ, მხოლოდ ხედავდნენ და მიჩი არაფერი... იმას კი ამბობდნენ: ნეტავ რა ხელმა გათალა ასე ლამაზად ეს კედლის ქვებით? ეზო დროდადრო ახმაურდებოდა, მხოლოდ მაშინ, როცა მიცვალებულს მიახვეწებდნენ დასაკრძალავად. ჩირილი სძრავდა მიღამოს. სხვა დროს ამ დაუცავ გალავანში პირუტყვი ბალახობდა. ცხვრებსა და თხბებსაც დაინახავდი იქ. ღორები ჩიჩქინდნენ საფლავებს: ძვილსაც და ახალსაც. ამან დააფიქრა კეთილი დათა.

იგი ომგადახდილი კაციო.

ომს მიძიმე დალი დაუსვამს მისთვის — ხეიბარია.

დათა გზაზე ქვას რომ დაინახავს უარყოფილად ადვილზე, გვერდზე მიაგდებს. მას უყვარს ახალგაზრდებთან საუბარი, უყვიბა ძველ ამბებს, უფრო კი ომისას. იცის დარიგება, მოწოდებაც. ახალგაზრდებს, როგორც საკუთარ შვილებს ეტყვის ხოლ

მე: ივარგეთ, შვილებო, ივარგეთო! გამოადექით ქვეყანასო!

სიკეთე მოდის მისგან, მხოლოდ სიკეთე!

ამიტომ დაარქვეს კეთილი დათა.

მან ერთხელ სოფლის თავკაცს, აღმასკომის თავმჯდომარეს უთხრა:

— დღეს, როგორც ჩვენ მოგვწონს ჩვენი თავი, ასე თავმოწონე ხალხი იყო თავის დროზე ისინიც, ახლა რომ ძველი ეკლესიის ეზოში განისვენებენ. გაპარტახებულია იქაურობა, თუ შევლობავთ, არ იქნება ურიგო.

თავმჯდომარემ, ახალგაზრდა კაცმა, ისეთი სახე მიიღო, რომელზეც მხოლოდ ერთი რამ ამოიკითხებოდა: ეს რატომ მე არ მომაგონდაო.

— გავაგებინოთ ხალხს. გავაკეთოთ საერთო ძალით, — უპასუხა თავმჯდომარემ.

— ხალხს მე ჩამოვუვლი, — ითავა კეთილმა დათამ.

ამ ხეიბარმა კაცმა მთელი სოფელი შემოიარა, განა ფეხით, მანქანით!

ის ხშირად ამბობს: ომის ინვალიდობის გამო მანქანა უფასოდ მომცა მთავრობამ და ხალხის სასარგებლოდ ერთი პატარა საქმე რომ გავაკეთო, ამით მე არაფერიც არ დამიშავდებაო. ახლაც ყველას გაეხმაურა კეთილი დათა. უარი ერთსაც არ წამოსცდენია. გასუფთავეს მთელი ეზო. გამოაჩინეს ბალახბუღახში ჩაფლულ წარწერიანი ლოდები. ზოგიც სანახევროდ მიწაში იყო ჩაფლული. ნახეს ისეთი ლოდებიც, რომლებზეც დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები იყო ამოტვიფრული. დათამ ვერ ვიცი, რომელ წლებს აღნიშნავდა ის ასოები. ეს მისთვის გამოუცნობი თარიღები თავისთავად იუწყებოდნენ, რომ ეკლესია დიდი ხნის წინათ იყო აგებული.

ეზოს მათულის ბაღურით რომ ღობავდნენ, სწორედ მაშინ მასწავლებელმა ბავშვები მოიყვანა სკოლიდან და უთხრა მათ: ეს ეკლესია წარსულის ძეგლიაო. კეთილი დათამ პირველად გაიგონა, რომ სოფლის ეკლესია, თურმე, არქიტექტურულ ძეგლად ითვლებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ახალგაზრდობაში, გადავწყვიტე მწერალთა სასახლეს ვწვეოდი, სადაც მეგულებოდა გალაკტიონ ტაბიძე. ვოცნებობდი მის პირადად ხილვაზე.

მოკრძალებით შევალე მეორე სართულზე ერთ-ერთი დარბაზის კარი. გალაკტიონი ღიმილით შემომეგება:

— მობრძანდით, ყმაწვილო! მორცხვად მოვახსენე ჩემი ვინაობა.

— რაჟველი? სასიამოვნოა! და გამიბა მეტად გულწრფელი და ხალისიანი საუბარი.

— თქვენ, ალბათ, ლექსებსაც წერთ, არა? — მკითხა მოულოდნელად.

უმაღ უბისაკენ გავექცა ხელი.

ცოტა ხნის შემდეგ გალაკტიონი ხან ღიმილით, ხან წარბის აწვევ-დაწვევით ათვალეირებდა ჩემს ლექსებს.

— უნდა დამიტოვოთ. უსათუოდ დაგიბეჭდავთ ჩემს ჟურნალში, რომლის გამოცემასაც ახლო მომავალში ვაპირებ. უსათუოდ დაგიბეჭდავთ... ახლა ეს მითხარით, სად და როგორ ცხოვრობთ?

— დიღომში ვმუშაობ მასწავლებლად, ვცხოვრობ... არც ასე, არც ისე...

— მეც ვიყავი ერთ დროს სოფლის მასწავლებლად შორაპნის მაზრაში. დიდად მიყვარდა ეს კეთილშობილური პროფესია... და, გულახდილად რომ ვითხრათ, არცთუ ცუდი პედაგოგი ვიყავი, მაგრამ პოეზიის ცეცხლოვანმა ეტლმა ქალაქისკენ გადმომიხროლა...

პირველი შეხვედრა და გაცნობა თითქოს ამით დამთავრდა. დავემშვიდობე. გულთბილად ჩამომართვა ხელი და ბევრი იმედიანი, გამამხნეველებელი სიტყვა მითხრა:

— მინახულეთ ხოლმე. ნუ მომერიდებთ. ლექსებს უსათუოდ დაგიბეჭდავთ... ჩემს ჟურნალში დიდ ადგილს დავუთმობ ახალგაზრდობას.

აღფრთოვანებული გამოვედი ქუჩაში. ათიოდე ნაბიჯიც არ გაძველო, რომ სასახლის აივნისა და მისი ხმა შემომესმა. გალაკტიონი უკანვე მიხმობდა.

როცა ავედი, დიღმა პოეტმა კარადიდან თავისი მეორე წიგნი გადმოიღო, მაგიდას მიუჭრა და წააწერა: „ჩემს ახლად გაცნობილ რაჟველ პოეტს ა. ნაქერალულს. გალაკტიონ ტაბიძე. 1922. 21. 5“ (მაშინ ჩემი ფსევდონიმი ეს იყო).

მერე მკითხა: — სოფელს ან სკოლას ბიბლიოთეკა თუ აქვს?



გალაკტიონ ტაბიძე სანჯივში (1940 წ.).

ქული რუხულსან

გაითხველს ვთავაზობთ ნაწყობს ცნობილი საბოთა კომპის არნო ონელის საოჯახო არქივში დაცული მოგონებაებიდან.

— არც სოფელს, არც სკოლას. საკუთარი წიგნებიც ჯერჯერობით ცოტა მაქვს.

— აი, ხომ ხედავთ ამ კარადას... აქ სულ ჩემი წიგნებია. როცა გენებოს, შეგიძლია ისარგებლო...

მან კარადიდან ორი წიგნი გადმოიღო და გადმომცა.

მოწიწებით გადავუხადე მაღლობა, დავემშვიდობე და კიბეზე ფრენით დავეშვი. გულში ვამბობდი: რა გულთბილი, რა ფაქიზნი და მოსიყვარულენი ყოფილან ეს პოეტები-მეთქი.

...

ერთხელ დიდმელმა გლენმა იავორა კოტორაშვილმა ბარათი გადმომცა — ქალაქიდან გამომატანეს, მასწავლებელს გადაეცია.

ბარათი გავხსენი და... თვალს

არ დავუჭერე. გალაკტიონი მწერდა: გადავწყვიტეთ, ლიტერატურული საღამო გავმართოთ დიღომში, შემატყობინე, შესაძლებელია თუ არა.

მეორე დღეს თბილისში წავედი, ვნახე გალაკტიონი და საღამო 14 ივნისისათვის დავთქვი.

ხუთი დღე სულ იმის ფიქრში ვიყავი, როგორ გავმასპინძლებოდი საპატიო სტუმრებს. ოთახში ერთი პატარა მაგიდა და ორი სკამი მედგა. ვერც ჭიბით მოვიწონებდი იმხანად თავს.

შუადღის 12 საათზე ჩემი ოთახის ზღურბლთან იდგნენ სტუმრები — გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, სეზმან ერთაწმინდელი და ვახტანგ ფხალაძე.

— ჩვენს განდევნის გაუმარჯოს! — დაიძახა გალაკტიონმა.

გიორგი ბექუნიშვილმა მთავრად დაამიკრა და ყარაჩოლულად ჩამომართვა ხელი. სეზმანმა ომახიანად დალოცა მარტოხელა ჭაბუკის ჭერი და თითქოს ძველი ნაცნობი ყოფილიყოს, ისე შინაურულად გადამეხვია.

სოფელში ერთი სასადილო, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ, სამიკიტნო იყო. მისი პატრონი — ბაბალა ენაწყლიანი მოხუცი, მწიგნობრობაზე სდებდა თავს. გამოწერილი ჰქონდა მაშინდელი ყველა ჟურნალ-გაზეთი.

მასთან ვისადილე... წინ საქმიანი საღამო გვექონდა და მოკრძალებულად ვსვამდით, უფრო მეტს ვლაპარაკობდით. პოეტების ხუმრობამ და ლექსების კითხვამ ალტაცებაში მოიყვანა ბაბალა.

რვა საათზე კლუბში ვიყავით. დარბაზი ხალხით იყო გაქვდილი.

იმ დღეს გალაკტიონს თეთრი შარვალი და თეთრქამრიანი ხალათი ეცვა. გადაკეცილ საყელოზე შავი, ჯვარედინად განასკვული ბაფთა ეკეთა. გვერდზე გადავარცხნილი წაბლისფერი თმა უწვევრულვანო სახის იერს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა. დინჯად წამოდგა. ფოთოლივით თრთოდა. პირველად „მთაწმინდის მთვარე“ წაიკითხა, მერე „მერი“ და „მესაფლავე“.

...

1923 წელი. ზამთარი. დიღმიდან თბილისს გადმოვედი. ვცხოვრობდი ვარდისუბნის ქუჩაზე. ხშირად ვხვდებოდი მწერლებს. გალაკტიონიც დადიოდა ჩვენთან.

— შენი ლექსები უკვე სტამბაშია, — მომხარა ერთ დღეს.

მოუთმენლად ველოდი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ გამოსვლას. მალე ამიხდა ოცნება, ვნახე ჩემი პირველი დასტამბული ლექსი „ელეგია“. შემდეგ ნომრებში დამიბეჭდა „შემოდგომის ესკიზი“.

ერთხელ რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა.

— აჰ, რა კარგ დროს შემხვდი! როგორ მინდოდა შენი ნახვა. აუცილებლად მიიტანე ლექსები „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში, იოსებ იმედაშვილთან...

და ჩემი კიდევ რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა.

ასე რომ, გალაკტიონ ტაბიძის დახმარებით გადავდგი პირველი ნაბიჯები... ჩვენ განუყრელი მეგობრობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან.



თელავი.

ფოტო ვალერი სოკოლოვისა და ანატოლი რუხაძისა.



თელავის თეატრი.

იქალთო.





საიუბილეო საღამო ხობის კულტურის სასახლეში.



ალიო მირცხულავა-80

კლდეზე ვღაგაპარ თითერი ბერხვი,
მხრები ამირთბიანია,
ვინემი სრამში თუ ბალაცა,
ხელი გამიწოვებია...

რასაც ამ ჰვეანალ ვერ მოკვირებდი,
ღმ. განაბრობოვლს ჩიმი ლეკაბი!
გვირულ სიფობრას აბუგუნებლს
საუკუნიდან საუკუნებლმ.

ფოტო თარხან არჩვადისა.

სოფელი ზორგა. პოეტის სახლ-მუზეუმი.

ხობის კულტურის სასახლის დარბაზი.



„სიტუვას ამბობს საქართველოს კაცენტრალური კომიტეტის მდივანი გურამ ენუქიძე.

ხობი, საიუბილეო ზემის მონაწილენი.“

ზორგა. სტუმრები რგადენ ლიმონის ნერგებს სახლ-მუზეუმის ეზოში.

ფატორნი სოფელ ხამისკურში.





მთაში, საძოვრებზე.

თელავის ღერბი.

ავტორები ემირ ბურჯანაძე და რომან კოჭლოვსკი.

ფოტო ვალერი სოკოლოვისა და ანატოლი რუხაძისა.

ძველი შუამთა.



გზა სიკეთისა

ვინ მოთვლის, რამდენი სიხარული უჩუქებია პატარებისთვის, რამდენი ღიმილიანი, ბედნიერი დღე...

საქართველოში იშვიათად თუ მოიძებნება ყმა წვილი, რომ არ ემდეროს „ილია მშვიდობისა“, „ეს საწყალი კურდღელი“, „პატარა მატარებელი“. ამ სიმღერებით მოვიდა კომპოზიტორი მერი დავითაშვილი ბავშვთა სამყაროში და თან მოიტანა ხალასი გრძნობა, დიდი სითბო და სიყვარული. მისი მუშაოები პატარების ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად იქცა.

„ნურავის ჰგონია, — ამბობდა ვაჟა-ფშაველა, — აღვილი იყოს საბავშვო ლექსისა და მოთხრობის დაწერა. ყველაზე ძნელი სწორედ ესაა, და თუ არა დავითური ნიჭით მირონცხებულსა და სულით მდიდარს, არ შეუძლიან, გახდეს საბავშვო მწერალი“. დიდი პოეტის ეს სიტყვები, ცხადია, მუსიკაზეც ვრცელდება.

ასეთი რთული მისია შეიძლება ითაოს შემოქმედმა, რომელსაც ძალუძს, ჩაწვდეს ყმაწვილის სულიერ სამყაროს, დროებით გახდეს მისი თანატოლი, მის ფიქრთა და განცდათა თანაზიარი. ამიტომ ხელოვანი თვითონ უნდა იყოს ბავშვურად წრფელი და სპეტაკი, ჰქონდეს უშუალო აღქმის უნარი.

ეს თვისებები მერი დავითაშვილს სწორედ ბავშვობიდან გამოჰყვა. ცხოვრების გზაც თითქმის ბავშვობაშივე განისაზღვრა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა ოჯახურმა ატმოსფერომ.

მამამისი — ექიმი შალვა დავითაშვილი იყო ნრავალმხრივ განათლებული ადამიანი, ლიტერატურისა და ხელოვნების პატივისმცემელი. მის ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ეს საღამოები მერი დავითაშვილს არასოდეს დაავიწყდება, ისე, როგორც დაუვიწყარია მისთვის ფორტეპიანოს პირველი გაკვეთილები სუსანა ელიავასთან. შემდეგ კი ქუთაისის (სადაც ოჯახი დროებით საცხოვრებლად გადავიდა) მუსიკალური სასწავლებელი, პედაგოგი ე. ტალავიცი, პირველი წარმატებით გამოწვეული სიხარული და უდიდესი გულისხმიერება, რომელსაც სასწავლებლის დამაარსებელი და დირექტორი — კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე იჩენდა წარჩინებული მოსწავლის მიმართ.

შემთხვევითი არ არის, რომ 1941 წელს მერი დავითაშვილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიტორო განყოფილებაზე მედიტონის ვაჟის — ანდრია ბალანჩივაძის კლასში ჩაირიცხა.

გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის წყალობით ეზიარა მერი დავითაშვილი ევროპული და რუსული მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო მონაპოვარს. მან ჩაუნერგა ახალგაზრდა კომპოზიტორს ქართული კლასიკური მუსიკისა და ხალხური შემოქმედების მდიდარი ტრადიციების ერთგულება და სიყვარული.

სტუდენტობის წლებში, ანდრია ბალანჩივაძის უშუალო ხელმძღვანელობით, მერი დავითაშვილი შექმნა რამდენიმე მცირე და დიდი ფორმის ინსტრუმენტული ნაწარმოები: საფორტეპიანო ვარიაციები, საფორტეპიანო ტრიო, სიმებიანი კვარტეტი, საორკესტრო სუიტა „გელათი“ და საფორტეპიანო კონცერტი — სადილომო ნაშრომი.

უკვე ამ ადრეულ თხზულებებში მკაფიოდ გამოვლინდა ახალგაზრდა კომპოზიტორის შემოქმედებითი მიმართულება, მისი მომავალი მუსიკალური სტილის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშანთვისებები. ეკრძოდ, კლასიკური ხელოვნების ტრადიციებთან და ხალხური შემოქმედების მარად უშ-

რეტ წყაროებთან ღრმა კავშირი, მუსიკალური აზრის უშუალო მდინარება, ნათელი, ლირიკული სახეებით აზროვნება, უანრული სურათოვნებისადმი სწრაფვა. ეს ნიშნები კიდევ უფრო ღრმავდება დავითარდება მომდევნო წლების ქმნილებებში: არიაში ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (1951), პოემაში ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (1954). ხოლო 1956 წელს შექმნილი ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის ცხადყოფს, რომ გაფართოვდა კომპოზიტორის შემოქმედების მხატვრულ სახეთა წრე — ლირიკულ და უანრულ სახეებს შეემატა ვაჟაკური საწყისის ენერგია, ნაწარმოების მხატვრული შინაარსის განვითარებაში დაისახა მუსიკალური მასალის დრამატიზაციის ტენდენცია.

ფანტაზია აღბეჭდილია რომანტიკული აღმაფრენით, აღსავსეა ემოციური მოზღვავეებით. მან თავის დროზე მუსიკალური საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საშემსრულებლო რეპერტუარში დამკვიდრების თვალსაზრისით უფრო იღბლიანი აღმოჩნდა ერთი წლით ადრე შექმნილი საორკესტრო სუიტა „მზის ქორწილი“ (1955).

სუიტის სახით ჰპოვა სიცოცხლის გაგრძელება მერი დავითაშვილის საბავშვო ბაღეტმა „მზის ქორწილი“.

განსაკუთრებული წარმატება და აღიარება მას მაინც საბავშვო სიმღერებმა მოუტანა.

ამ უნარს მერი დავითაშვილმა პირველად 1949 წელს მიმართა. კომპოზიტორმა განიზრახა, შეექმნა თავისი პატარა ვაჟიშვილისთვის ისეთი სიმღერები, რომელთაც იოლად დაისმობოდა და აითვისებდა. დედის უტყუარმა აღლომ იგი ქართველი ბავშვების საყვარელი პოეტის მავკალა მრეველიშვილის შემოქმედებასთან მიიყვანა. ასე გაჩნდა პირველი სიმღერები მავკალა მრეველიშვილის ლექსებზე: „დილა მშვიდობისა“, „ვარჯიში“, „მატარებელი“, „ბანაობა“, „საწყალი კურდღელი“, „საქანელა“.

ამ სიმღერების საოცრად დიდი პოპულარობის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ კომპოზიტორმა შეძლო, პატარებისთვის ახლობელი სამეტყველო ენით, მუსიკალური გამოხატულების უაღრესად მარტივი ხერხებით წარმოეჩინა ბავშვის მდიდარი სულიერი სამყარო, მისი სახიათის მრავალფეროვნება. ხოლო მათში ჩაღვრილმა დედაშვილურმა სითბომ და სინაჟემ არა მხოლოდ ყმაწვილების, არამედ უფროსების გულიც გაათბო.

მერე შექმნა სიმღერები უფროსი ასაკის ბავშვებისთვისაც. გაფართოვდა კომპოზიტორის პოეტური შთავგონების თვალსაწიერი. ის მიმართავს ვაჟა-ფშაველას, მარიჭანის, ილია სიხარულიძის, აგრეთვე თანამედროვე პოეტების: რევაზ მარგიაანის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მორის ფოცხიშვილისა და სხვათა შემოქმედებას. თანდათანობით სამკაულეზივით იკინძება საბავშვო სიმღერების კრებულებში.

არანაკლები ინტერესით მუშაობს მერი დავითაშვილი რომანსის უანრში. შექმნილი აქვს რომანსები ცნობილი ქართველი პოეტების: ტიციან ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, ირაკლი აბაშიძის, ალექსანდრე საჩაიასა და სხვათა ლექსებზე.

მერი დავითაშვილის კამერულ-ვოკალურ ლირიაში გამოჩნეული ადგილი უკავია ანა კალანდაძის პოეზიას. ანას ლექსი, თავისი ინტიმურობით, პოეტურ ხილვათა იდუმალებითა და ქალური განცდის სიფაქივით, კომპოზიტორისთვის განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ლექსებზე შექმნილ ვოკალურ მინიატურებს მან „სიმღერები ჩემთვის“ უწოდა.

საყურადღებოა მერი დავითაშვილის მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარე — ხანგრძლივი ნაყოფი-



რი მუშაობა კინო და თეატრალური მუსიკის სფეროში, რამაც სხვა უანრებთან ერთად მნიშვნელოვნად შეამზადა ნიდაგი მის შემოქმედებაში ისეთი რთული სინთეზური მუსიკალური უანრის აღმოცენებისათვის, როგორიცაა ოპერა.

მართალია, ფიქრი საბავშვო ოპერის შექმნისა კომპოზიტორს წლების მანძილზე თან სდევდა; მაგრამ განხორციელების მხოლოდ 80-იან წლებში შეუდგა, მას შემდეგ, როდესაც თავისივე თქმით „პროფესიული დაოსტატების“ მრავალი საფეხური განვლო.


ამიტომ, ბუნებრივია, მისი პირველივე ცდა ამ უანრში — საყმაწვილო ოპერა „ქაჯანა“, ნ. ლომოურის ცნობილი მოთხრობის მიხედვით (1966 წ.), მკაფიოდ ავლენს გაწაფული ოსტატის ხელწერას. შეიძლება ითქვას, რომ „ქაჯანა“ აგვირგვინებს და თავისებურად აჯამებს მერი დავითაშვილის შემოქმედებითი გზის მონაკვეთს 60-იან წლებამდე. ამასთან მასში გამოხატულია კომპოზიტორის მუსიკალური სტილის ის ახალი ნიშნები, რომლებიც შემდგომ განვითარდა განსაკუთრებით საბავშვო ოპერაში — „ნაცარქექია“.

მერი დავითაშვილის ოპერა „ნაცარქექია“ (1979.) ქართული საყმაწვილო მუსიკის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. შეიძლება ითქვას, რომ კომპოზიტორმა ჭეშმარიტად ახალი სიცოცხლე შთაბერა ხალხურ ზღაპარს და მას პირველქმნილების განუმეორებელი სურნელიც შემოუნახა. 1981 წელს ოპერა „ნაცარქექია“ ჩვენს რესპუბლიკის საპატიაო ჯილდოთი — რუსთაველის სახელობის პრემიით აღინიშნა.

საკომპოზიტორო მოღვაწეობასთან ერთად, იგი წლების მანძილზე ეწეოდა აქტიურ და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობას, უძღვებოდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საბავშვო მუსიკის სექციას, იყო მუსიკალურ-ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე. 1968 წლიდან საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანია. საბავშვო მუსიკასთან დაკავშირებული ბევრი წამოწყებისა და ღონისძიების მოთავეა. ხელოვანი ქალის თაოსნობით ქართულმა საბავშვო მუსიკამ მრავალი მეგობარი შეიძინა. ყველა ამ დამახასიათებლისთვის კომპოზიტორს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის მედლით.

მერი დავითაშვილს სიხარული და სიკეთე მოაქვს პატარებისათვის. წინ კიდევ შემოქმედებითი წვით, ახალი მისწრაფებებით, ახალი ოცნებებით აღსავსე დიდი გზაა.

მანანა ჯონსარიძე



ტერენტი ბრანელი

გაზაფხულის საღამო

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

სული საზღვარს გადასცდება ფრენით,
ახლაც მახსოვს მისამართი უენი.

ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,
რალაც დიდი სიხარული ვიგრძენ.

წინ მეშლება სხვა ოცნების არე,
მიწის ცქერით დაილა მთვარე.

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

ნანა ჩხეიძე

უსურვაზი

ერთხელ შემთხვევით, ხეტილის
დროს
ტყეში წავაწყდი ხეს,
მას უსურვაზი შემოხვეოდა
და უკოცნიდა ყელს.
ხეც ამ ვაზივით უბერებელი

თავს აწონებდა ტყეს.
უსურვაზივით მეც მოგებვევი,
მეც დაგოკოცნი ყელს,
მეც შენს სიცოცხლეს გავალამაზებ,
არ დაგაბერებ მეც...

მერი ვალაშვილი

ცაო, ლამაზო

შამბახისფერი მთვარეა
და ბამბისფერი ღრუბლები.
შეგყურებ, ზეცავ ლამაზო,
და სიხარულით ვბრუვდები.

ციცკარი ისე იცინის,
ისე ხალასი ფერი აქვს,
თითქოსდა სახელდახელოდ
ოქროში გაუფერიათ.

ისევ

ცათა საგუმბათონი
ზარებს ისევ მირეკავს
და ეთხრება ფესვები

ამ ეკალს და იმ ეკალს.
ჩემი სულის სურვილებს
მზის სხივები ირეკლავს.

ღინარა ფორჩხიძე

მარტოობა

ყველა წახულა...
დაუგლიათ სახლი და კარი
შენი ძაბუნი მკლავის ამარა...
რაგინდ გულდაგულ დამაძალო
ფიქრი და ჭავრი,
მაგ უნებლიე ამოოხვრას
როგორ დამალავ.

როცა დაგლანდავ
სალამოის ბინდუნდში დალილს,
სვრელის კიდეზე ფეხებგაშოტილს,
მე შენ მგონიხარ
საყვარელი უმანკო ბაღლი,
გაბეზრებული ერთ და იმავ
სათამაშოთი...

...

დარდი ისე დამიძველდა,
თვალზე ცრემლი აღარ მომდის,

დღეს მეწვია ნაწი სევდა,
გადამივლის საღამომდის.

ინა ჯაჭვაძე

...

შუალამისას, ჩემო დედილო,
მიახლოვდები დალილი მგზავრი,
კალთით იწმენდავ ცრემლიან
თვალეებს...
ხმას შემპარვია სევდა და ბზარი.

როცა მტრედისფრად ინათებს ზეცა
და დაიღვრება მიწა ფერებად —
მიდგებ-მოდგება ციდან ნათელი
და შენი ხელით მომეფერება.

მამა

გატეხილ ღამეს, გაფრენილ ღამეს,
დარდს შემოჩვეულ ნუგეშს
ნებდები,
მიუჩრებულხართ ერთი ლოდის ქვეშ
შენა და შენი მთის ლეგენდები.

დაემშვიდობე დღესა და ღამეს,
იმედად გაგვვა ოცნება ლექსის...
წევხარ ჩუმად და თან წაყოლილი
წიგნი სათუთად გიპყრია ხელში.

ლილი სუციშვილი

...

გომბორის მთაზე ვარსკვლავები ჩემთან არიან,
მოიპარება ხარიპარია...
ჯერ მზე არა ჩანს, მაგრამ ჩიტები
მღერიან მზის ჰიმნს
და იფანტება ლურჯ მთებზე ნისლი.
საცაა უკვე მზეკახანი დაუვლის ყანას
და ზღაპრულ ტყეში სასეირნოდ გამოსულ ირმებს,
ოქროს ჭეჭილი უმღერებს ნანას.
არწივის ფრთებით რომ შემეძლოს მე ცაში აჭრა,
დავინახავდი მზეს პირველად, ჩიტებზე აღრე,
ო, მზეო, მზეო, ცივგომბორზე თავს ნუ მანატრებ.



გალაქტიონ მახარაძე

დილით მამიდაშვილმა დამირეკა სოფლიდან, თუ ახალსახლობაზე არ მეწვევი, მორჩა, არც მე გიკითხავ და აღარც შენ თქვა, ბიძაშვილი მყავსო.

რადღაც ვინამდე: ავიკარი გულა-ნაბადი, დავატრიალე ნაცონებში, ვიწვევ რბილი ვაგონის ბილეთი და ზაიდა ზა!

გურიაში უთენია ჩავედი. გადმოვვინე ვაგონიდან, გავიხსენე, საით უნდა წავსულიყავი და ფიქრებში გართული დავადექი ჩემი სოფლის გზას.

ყველაფერი შეცვლილიყო. სადღა იყო აკაციის გაჩორკნილ ბოძებზე შესკუბებული ოდა-სახლები. წისქვილიც გამჭრალიყო. არც გზისპირაზე მაღლარი ვაზით დაბურული ხეივანები ჩანდა. ტალახიან გზებსაც მოეკვამა ჭირი.

ჩავიქინე ხელი. ამ ორსართულიან შენობებში, ყვავილნარებით დამშვენებულ ეზოებში, კოხტა ჭიშკრებთან გამოქიმულ „უფილემში“ ჩემი ბავშვობის ნაკვალევს ძებნა ქარის წისქვილებთან ბრძოლას ნიშნავდა.

ჩავუარე კანტორას, აფთიაქთან დაუხვით, გვერდი ავუქტიე საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს და ახალ აბანოსთან ავედი.

გამარჯობა, ბატონო! კაფანდარა მოხუცმა აბანოს ეზოს ჭიშკარი გააღო, შემომხვდა და შუბლზე ხელმოჩრდილულმა მომაგება: — იმე! რაცა ვერ გიცანი, თვითონ ბატონო!

ვუთხარი ვინც ვიყავი. — აუ! ლავრენტის ბაღში ხარ, ბიჭო, შენ?!

— კი, ბატონო! — კაი გამარჯობა სტუმარს! ჭერ ისევ ბინდბუნდი იდგა. მამიდაშვილის სახლამდე ცოტადა რჩებოდა, ფეხის ათრევა ვარჩიე: ასე უთენია, მასპინძელს ჭალაბიანად ხომ არ დავაფთვინებდი.

ესეც არ იყო, კოლმეურნეობის უფილ ბულალტერთან, ამ სიტყვამოსწრებულ კაცთან შემასლათებდა და სოფლის ახალი ამბების წვრილწვრილად გაგება ძალიან მაინტერესებდა.

— ვარლამი ვარ მე, მგელაძე. მიცანი? ხომ კი?

— კი. — პენსიაზე გავედი და ახლა აბანოში ვმუშაობ... ისე, კაცმა რომ თქვას, ხომ კაია სოფელში ჩამოსვლა, მამამაპურ ცვრიან კონინდარზე ფეხის დადგმა?

მოხუცმა ამოიხორა და ვიდრე რაიმეს მოვჩამხავდი, დანახებით ჩაილაპარაკა:

— ჩემს ბიჭს კი აღარ დაადგა საშველი... მგვხვდი, სადაც უკაყუნებდა მოხუცი. გავხედე შვილსდანატრებულ მამას, მეც ამოვიხორე და ბანზე შევაგდე სიტყვა:

— ვარლამ ბიძა, აღრე გამოსულხართ სამუშაოდ. — ასეა ბატონო, აბანოს მომზადება უნდა.

დაამთავრა სიტყვა და ღია ჭიშკარში მანქანა შემოვიდა.

— გამარჯობა, — გადმოვცახხა

კაბინიდან თავგამოყოფილმა შოფერმა, სწრაულად შემობარუნა მანქანა და დაამუხრუჭა.

— ქვანახშირი თუ სრულად შეიტანე, ვახტანგ ერეგინო, კაი გამარჯობა შენ!

ქვანახშირი, ეტყობა, სრულად იყო მოტანილი. ვარლამმა ფარფლიანი ქუდი შეისწორა, გაიღიმა და თავზე წამომდგარ ორ ახალგაზრდა ბიჭს დასტემა:

— მიხედეთ ქვანახშირს! ინათა. ცაზე ტორლებმა შეინავარდეს. ძროხამ დაიწმუვლა: სადღაც ნაბახუსევით ხრინწიან ხმაზე ყიოდა მამალი.

— რომელი ერეგინია ეგ? — გადმელი, ქარცივაძეების სამეზობლოდან. მამამისი გახსოვს? სტეფანე აულაყულას ეძახდნენ?

არ მახსოვდა. არც ვახტანგი მენახა, არც ის ვიცოდი, საიდან გაჩნდნენ ერეგინები ჩვენს სოფელში. ვარლამმა გაიღიმა.

— ახლა ისიც არ მკითხო, ვიშინსკები, ხოხლოვები, პინჩუკები, ეგორაძეები, პრაცენკოები, ზაგინსკები, პერაშკოვები, გოგოლები, ვოლკოვები? საიდან და რა გზით მოხვდნენ გურიაში... გეინტერესება?

— კი. მოხუცი აბანოში შევიდა, ორი ნუჟრიანი ჭირკოტი გამობრუნდა, კედელთან მიაწყო, ჩამოჯდა და მკითხა:

— შეითან კაპიტანი გავიგონია? — ვინ?

— ვაშაკიძე, მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი. მტრის რისხვა იყო, თურქებმა შეითან კაპიტანი შეარქვეს.

— რა შეარქვეს? — შეითანი, თავიანთ ენაზე — ეშმაკი კაპიტანი.

— მერე? — მერე ის, რომ კაპიტანი ვაშაკიძე ერთხელ, სარაკამაშის მთაზე, თავისი ასულთი ეკვეთა რიცხვმრავალ თურქებს.

მოსაუბრემ ფარფლიანი ქუდი მოიხადა, მუხლზე დაიღო, ყალიონი გააწყო და ფიქრებში წასულმა განაგრძო:

— ბრძოლა უღმომბელი იყო. რუსი ჯარისკაცები გააფთრებით იბრძოდნენ, თურქებიც გაცოდნენ, მიტაცებული ქართული მიწის თითოეულ გოჭს ისე ებღაუჭებოდნენ, თითქოს თავიანთ მიწას ართმევენო.

ვაშაკიძის ასულში ორი ძმადნაფიცი იბრძოდა: რუსი ანატოლ ვოლკოვი და ქართველი იასონ ქარცივაძე. ისინი ქარში დაშვდნენ. ისე შეეწყვიტნენ და შეეთვისნენ, უფრო მანეთოდ პურსაც აღარ ჭამდნენ...

— მერე? — ებღღვნა იასონი ასკერს, რეხვა თავში კონდახი, გააგორა. გახსლტა მეორე თურქი, ესროდა და მხარში დავრა იასონი. ის-ის იყო თურქი შებარბაცებულ იასონს მიე-

ჭრა და ხმალი იშოშვლა, რომ ანატოლმა იმარჯვა...

— დასწრო? — კი. აპა!

მოსაუბრემ ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა, ფარფლიანი ქუდი მუხლიდან მუხლზე მოინაცვლა და განაგრძო:

— იმავე დღეს ანატოლი ვოლკოვი და იასონ ქარცივაძე ერთად მიიყვანეს ლაზარეთში.

— ანატოლიც დაიჭრა? — კი, როცა ძმადნაფიცი ცეცხლის ხაზიდან გამოყავდა, ფეხში დაიჭრა.

ვარლამი წამოდგა და ნისლით ჩამოხურული მთებისკენ მიმინიშნა.

— ა, იმ კედაროს, ქარცივაძეების სამოსახლოში, ერთ მშვენიერ დღეს, ყოფიან ატყდა: გერასიმეს ბიჭი იასონა, დაღუპული რომ ეგონათ, გამოჩნდაო!

მხარშეხვეული მოდიოდა იასონი, ცალ ხელს იქნევდა, ყველა შემხვედრს კოცნიდა.

იასონს კინკლ-კინკლით მოხდევდა ყავარჯნზე აკონწიალებული რუსი ძმადნაფიცი ანატოლი ვოლკოვი.

სამი დღე იქიფეს გადაბმულად ქარცივაძეების ოჯახში.

როცა ღზინი ჩათვდა, იასონმა სტუმარი სოფელში გაატარა.

მოჩლახუნობდა ყავარჯნით ანატოლი, მალ-მალე ისვენებდა და აღტაცებული შესცქეროდა მწვანეში ჩაფლულ კორდებს.

კარგი ბიჭი იყო ვოლკოვი: მაღალი, მხარბეჭიანი, ცისფერთვალე. დინჯი საუბარი იცოდა, გულითადი, იუმორით სავსე.

მთელ სოფელს შეაყვარა თავი. დურგლობაც იცოდა, კალატოზობაც, მეთუნეობაზეც მიუწვდებოდა ხელი. ის კი არა, ერთხელ, მჭიდელი შეუძლოდ გახდა, მივიდა ანატოლი, მიიშველია ბიჭები, ქურასთან ყავარჯნით იხტუნავა და გადაუღებულ საქმეს მოაბა თავი...

სტუმარს დახვედრა უნდა, ხომ კი? ზოდა, ანატოლის ხელ-პირს ყოველ დღით იასონის და — მარიამე აბანიანებდა.

იქვე, სახლის წინ, კონინდარზე ჩამოდგებოდა ხოლმე მარიამი. ცალ ხელზე პირსახოცი ჰქონდა გადაკიდებული, მეორეში წყლით სავსე სპილენძის თუნგი ეჭირა. დააცერებდა თუნგს მარიამი, ანატოლის მომარჯვებულ პეშვს წყლით აუვსებდა და ბებეშში წახრილი სტუმრისაკენ გააპარებდა მზერას.

ერთხელ, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ორივე გაწითლდა.

— ასეა, ბაბული, სიყვარულმა აწითლება იცის.

მოხუცმა ხამუშ-ხამუშ გააბოლა ყალიონი და განაგრძო:

— გაუგრძელდა სტუმრობა ანატოლის. არ უშვებდნენ და რა ექნა?!

ერთ მშვენიერ დღეს კი მივდგარო, გადაჭრით განუცხადა ვაჭიქეშულმა სტუმარმა მასპინძელს. დილით, როცა შარამმა სპილენძის თუნგი დააცერა და მწვანეში პეშვი წყლით აუვსო, ხმადაბლა იკითხა:

— მიდინარ? — ანატოლიმ თავი დაიქნია.

— სად მიდინარ? — ჩანდაბაში. რა ვიცი, სად!

ანატოლი ვოლკოვი უცოლშვილო იყო, არც მშობლები ჰყავდა, უღმამიშვილო კაცი ცაზე ღვთის ანაბარა იყო ჩამოკიდებული.

— რას იტყვი, — ანატოლიმ თვალი თვალში გაუყარა მარიამს, — დავრჩე?

აშვებულმა ძროხამ დაიწმუვლა. წამოწითლებული მარიამი ადგილიდან მოწყდა, ჭიშკარი გააღო, გააღლა ძროხა და შარაზე მიმავალ ხაზის დაადგენა.

არაფერმა გაჭრა: გაკერებულ ანატოლის ძმადნაფიცმა გადაწყვეტილება ველარ შეაცვლივინა.

— ფეხი მომიშუშე, წავალ, ჩემს გზას ვეწევი! — სევდიანად ამბობდა ჩაფიქრებული ვოლკოვი.

შეეწამოწევა. მოხუცმა ცან გახედა, თავზე ქუდი ჩამოიფხატა და განაგრძო:

— იასონმა ძმადნაფიცს გვარისი გაცილება მოუწყო; ღზინში, ღამის იყო, მთელი სოფელი მიიპატოჟა. მთელი ღამე დავკრა-ცეკვისა და სიმღერის ხმა მოისმოდა ქარცივაძეების განახანებულ ოდა-სახლიდან.

გათენდა. აბა, რავე იქნებოდა სხვა ნაირად. გათენდა და თუნგი თხელში დაეყუდა მარიამი კონინდარზე. ოუვსო პეშვი ანატოლის, გახედა, ოუვსო და გახედა, გახედა და ამოიჩურჩულა:

— მიდინარ? — რას იტყვი, — ანატოლიმ თვალბეჭში ჩახედა მარიამს, — დავრჩე?

მოსაუბრე გაჩუმდა. აბანოს წინ ვილაცამ ჩაიარა, მოგვესალმა.

— კაი გამარჯობა! — დაადგენა მოხუცმა.

— მერე? მერე რა მოხდა? — ვკითხე ჩაფიქრებულ ვარლამს.

— მერე ის მოხდა, რომ მარიამი ბებიაჩემი გახდა... ასეა, ბატონო! მე, ვარლამ მგელაძე, ანატოლი ვოლკოვის შვილიშვილი გახლავარ...

მოასფლტებული გზა ისევ აახმიანეს გამველებმა.

— კაი გამარჯობა! — ახლა იმათ დაადგენა ვარლამმა. ერთხანს უსიტყველ იჯდა, მერე მომხედა, გამიღრმა და წამოდგა:

— ბაბუაჩემმა—ანატოლი ვოლკოვმა თავისი მეორე სამშობლო საქართველოში მოიძია. ეს ამბავიც ერთი ნათელი მაგალითია იმ დიდო მებობრობის ისტორიაში, რომელაც ჩვენ ხალხებს ძმურად აკავშირებს...

შეჩერდა და დაამთავრა:

— აი, ასე შეეწარდნენ ქართულ მიწას ვოლკოვები. ასე გაიდგეს სიკეთის ფესვი გურიის გაღმა-გამოღმა სოფლებში პინჩუკებმა და ვიშინსკებმა, ეგორაძეებმა და პრაცენკოებმა, პერაშკოვებმა და გოგოლებმა, სოკოლოვებმა და ხოხლოვებმა, ზაგინსკებმა და... კიდევ მოვთვლო...?

პირობიობა

ვილისი თავივე დაეშვა. ტყიდან გამოსულ საურმე გზას მხარი უქცია, გაყვითლებულ, უსწორ-მასწორო ყამირზე რამდენჯერმე ჩაბუქნა, ლამზე შემდგარმა სული მოითქვა და სანაპიროს გასწვრივ გაქანდა. უკან საბურავების კვალი და მტვრის კორიანტილი გამოიბა.

ხეობის ქარმა ჩვენი მოულოდნელი სტუმრობით განაწყენებული ყვავები ააფრიალა. ზოგი თვალს მიეფარა, ზოგიც ცოტა მოშორებით, გამომხმარ ბელტებზე ჩამოსხდნენ და დაგვიწყეს თვალთვალი.

ვილისი გადაბრუნებულ ნავთან შეჩერდა.

— აგერ, ისინიც, — გაგვახედა შოთამ. შორს, მეორე ნაპირის სიახლოვეს, ნავი დაცურავდა. ძლივს აღწევდა ჩვენამდე „მოტორის“ ხრინწიანი ხმა. ნავზე ორნი იდგნენ — მაღალი და დაბალი. მაღალი ბადეს ისროდა. შოთამ მუხლებშუა მოქცეული თოფი მხარზე მიიბჯინა და მანქანის ღია კარიდან ცას მიუშვირა. ნუნუმ ხელისგულები ყურებზე აიფარა. გასროლამ მანქანა შეატოკა. დაბალი ზურგისაკენ შემობრუნდა, შუბლზე ხელი მოიჩრდილა, თითქოს მზე უშლიდა ჩვენს დანახვას და მერე ცხვირსახოცი დაგვიქნია...

ლამზე ჩვენი ნაფეხურები აირია. ვაჟამ წასილულ შუშის ქილას ფეხსაცმლის წვერი წაპკრა, ამოაგდო და გამორიყულ ჯირკვზე ჩამოღო.

ქვებს რიგრიგობით ვესროდით. თანდათან ვავხურდით. მიზანი ყველას გვალატობდა: ქვების უმეტესობა ჯირკვს ხვდებოდა. ვადმოსავარდნად აყანყალბებული ქილა თავს ძლივს იკავებდა. ნუნუ, როგორც ყველა ქალი, ისე ისროდა — მოქნეულ ხელს მთელი ტანით მისდევდა, ცერებზე დგებოდა, თითქოს თოკზე გაფენილ სარეცხს უნდა მისწვდეს და აივნის მოაჯირი არ უშვებსო. ბოლოს ვაჟამ იმარჯვა, შუშის ნამსხვრევები ჯირკვიდან აფრინდნენ, წყლის ლურჯ-მწვანე ფონზე წამიერად გაელვარდნენ. ნუნუმ ნაწყენმა დაუშვა შემართული მარჯვენა, ჩამოშლილი თმა თითების ჩვეული მოძრაობით გადაისწორა და გაწითლებულ ბიბილოზე ჭიამაისავით შეცოცებული, დაწინწკლულსაყურე გამოუჩნდა. ბიჭებს გაეცინათ.

— მე თვითონ არ ველოდი, — დამნაშავესავით გამალა ხელები ვაჟამ...

მანქანას მივეყრდენი და სიგარეტის კოლოფი გავხსენი, ნუნუ მხართან მომეყუქა.

- მომეცი ასანთი, მე მოგიკიდებ.
- უკვე დიდი ხანია მომიკიდე!
- ჰა?... პოო...
- მიხვდი?
- მივხვდი!
- ქარმა ბუმბულივით გაიტაცა ბოლი.
- მიხარია, ზომიერად ჰკვიანი რომ ხარ.

ჰანო ჩხიკვაძე

— როგორ გავიგოთ, „ზომიერად ჰკვიანი“ კომპლიმენტი, თუ...

— ქალისათვის კი!

— საძაგელო... როგორ მინდოდა, მომერტყა, ჩაფიქრებული მქონდა.

— რა ჩაფიქრე?

ცივი ხელი ჯიბეში ჩამიყო, დამუშტა და თითებში ჩამიკუჭნა.

— სხვა დროს გეტყვი...

დაღმართზე ტყიდან გამოტანილი ნეკერჩხლის ფოთოლი მოფრიალებს, უსუსური, ქარის ნებას მინდობილი, მიწას მოკაწრავს და ფეხებთან ეცემა. ნუნუ დაიხარა და ყუნწით აიტაცა.

— მე ეს ფოთოლი ვარ!

— ჩემი საწყალი ფოთოლი, — თმაზე მოვეფერე. — ვინ იცის, ხვალ საით გაფრინდება, ვინ დაიჭერს და მიითვისებს.

— ნუ სულელობ.

— წელან რა ჩაფიქრე.

— რა და... ქარმა თითქოს დრო იხელთა, ფოთოლი წაგლიჯა და წაიღო — ხედავ რა თავხედი ვილაცა? — სიცილით უკან დაედევნა...

ნავი ნაპირს მოუახლოვდა, დაბალმა „მოტორი“ გამორთო. მალე ფსკერით შლამს გაეხახუნა და ჰვინტაწეული შეჩერდა. პირველად მაღალი ვადმოვიდა. დაბალმა თევზით სავსე ვედრო მოაწოდა. თვითონ რეზინის მაღალყელიანი ჩექმებით წყალში ჩადგა, ჩვენც მოვეხმარეთ და ნავი ნაპირზე ამოვათრიეთ.

მერეღა მოგვესალმნენ, ტანსაცმელი რომ ჩაიფერებინეს და სული მოითქვეს.

— იაგორა, შენი ჭირიმი! — ხელი გამოგვიწოდა მაღალმა.

— კონსტანტინე! — შემოგვღიმა დაბალმა.

— კოწო-თქო, ლავაშვით კი ნუ გააბრტყელებ, — გაეხუმრა იაგორა.

— პასპორტით ეგრეა, — თან თვალთ ანიშნა, სტუმრებთან ასეთი ლაპარაკი რად გინდაო.

— მე პასპორტი არ ვიცი, რასაც გიყურებ, კოწო ხარ. შენი სიმაღლის პატრონი კონსტანტინეს ნუ დაეტოლები, — ბოლომდე არ დაინდო იაგორამ და ვედროს დაავლო ხელი.

— გეყოფათ, ხალხო, თევზი დროზე გამოწელოთ. აქ ლამის სათევად ზომ არ მოვსულვართ. ქვაბს მე წამოვიღებ, — მანქანის კარი გამოაღო შოთამ.

— ხედავ, როგორ გაბუსხული მისდევს? — მანიშნა იაგორას უკან ჩლარტუნით მიმავალ კოწოზე, შოთი პურებსა და სანოვავით სავსე პარკს ძლივს რომ მიათრევდა, — სულ ასე არიან, ერთმანეთს კი მაინც ვერ ელევინან.

ზემოთ, ფარღალა ფიცრულის წინ, მძღოლს ცეცხლი დაენთო. იქვე ხმელი ტოტები დაეყარა და ამტვრევდა.

— ლევან, ლევან! — ნუნუ ხელს მიქნევდა.

ვანიშნე, რა გინდა-მეთქი.

— მოდი, მოდი!

სირბილით წავედი.

— რა ნახე ასეთი.

— რამდენი საფლავის ქვაა! — ხელი მოატარა ირგვლივ. — აქ საიდან გაჩნდნენ?

მიმოვიხედე და მხრები ავიჩეჩე — ახლო-მახლო სასაფლაო არ ჩანდა. მხოლოდ მორევში, წყლის მიქცევისას თავს ამოყოფდა ხოლმე კედლის ნანგრევები. სანახევროდ წასილულ ქვასთან ჩავიმუხლეთ: „შენდობა მითხარ...“ დანარჩენი აღარ იკითხებოდა. ნუნუმ წკირით წარწერაში ჩარჩენილი შლამის ამოფხეკა დაიწყო.

— მოეშვი, — მოგვიდე ხელი.

„დამაცაო“, — ჯიუტად გადაიქნია თავი.

— შენი წინაპარი აქ არ იქნება და ვის ეძებ...

არაფერი გამოუვიდა, წარწერა ისე იყო ჩაკირული, რომ ნუნუს სუსტი თითები ვერას გახდნენ.

— მაინც რამდენია, ჰა? — წამოდგა და კალთა უკმაყოფილოდ ჩაიფერთხა, — ალბათ, უპატრონობია.

— ალბათ...

ნაცრისფერადაკრული წყალი ლამზე ამორბოდა, დავყინთავდა ქვებს და თითქოს ვილაც ეწვევაო, ისევ მორევს უბრუნდებოდა. ამ დროს ისევ გაიელვებდა ხოლმე ნანგრევები მეჩხერი კბილებივით.

— წავიდეთ, გვეძახიან! — შოთა ხელს გვიქნევდა — ფოთოლი რა უყავი?

— წყალმა წამართვა. ახლა უკვე გალმა ნაპირზე იქნება — გამახედა ჩამომხმარი ფერღობისაკენ, რომლის გასწვრივაც მივივივით ასხმულიყო პატარა-პატარა ყვითელი ბულულები...

* * *

ჯირკვზე ვისხედით. შუაში, მუხლებს ოდნავ აცდენილი, გაურანდავი ფიცრის მაგილა გვედგა.

— აბა, გემრიელად მიირთვით! — კოწომ თხილის შამფურებით მწვადი შემოიტანა.

— ჩამოჭექი! — შევთავაზე და გვერდზე გავიწიე.

— იყავი, იყავი, ჯერ თევზი უნდა ამოყარო...

— დაჭექი, კაცო, თევზი სად გაიქცევა, — არაყი მიაწოდა შოთამ.

— ჩაიშლება... ვაგიმარჯოთ! — სულმოუთქმელად გამოცალა, ყველს წაატეხა და გავიდა.

— ისეთი მზარეულია, გაგიკვირდებათ, — უღვაშები გადაისწორა იაგორამ. — მაგის დედაკაცს საქმე კი არაფერი აქვს სახლში... აიღეთ, ამ მწვადს კაცი გააცივებს?

— ნუნუ, არ დაღვეთ?
 — არა, აღარ შემიძლია, უკვე შევთვერი.
 — შეთვერი კი არა და... ჩვენი არაყოფიერებით არის. აბა, ის ხევსური რომ გინახა, მაშინ რაღას იტყოდ!
 — ვინ ხევსური? — შევეკითხეთ იაგორას.

— ამას წინათ, ასე ნაშუადღევ იქნებოდა, სასადილოში ვიყავით, — შენი ფეხებში სიმამრიც იქ იყო, — მიუბრუნდა შოთას.
 — რა გინდა, რას ერჩი.
 — რას უნდა ვერჩოდე, უბრალოდ, კაცს თავისი არ უნდა დაუკარგო... ჩვენც ის-ის იყო შევედით, თითო ლუდი გვექნებოდა დაღვეული...

— კოწომ თევზით სავსე თევზში შემოიტანა და შუაში ჩადგა.

— იმას ყვები? — ჩაეცინა და გვერდით ჩამოუჯდა.

— ჰო... თითო ლუდი გვაქვს-მეთქი დაღვეული. გავიხედოთ — ვიღაც ხევსური შემოვიდა ეზოში. ცხენი იქვე მიაბა. გადაიჭირა რამდენჯერმე ჩექმის ყელზე მათრახი და შემოაღო. არავისთვის შეუხედავს, ეგრე, დამღურებულვით ჩაგვიარა. მებუფეტეს ფული დაუგდო — ერთი არაყოფი... „წასაღებად გინდაო?“... „წასაღებად კი არა, — შეუღრინა, — გამიხსენ, მეჩქარებაო“.

იმანაც გახსნა და ვიდრე ჰქვას მიაწვდიდა, ხევსურმა, ეგრე, — ხელით გვაჩვენა იაგორამ, — ლიმონათივით დაატრიალა ორმოცვრადუსიანი „სტალინი“ და უცებ გამოწვდა. პირდაღებულმა მებუფეტემ ისღა უთხრა — კამფეტი მაინც მიაყოლეო. ეს რა ვნახე კაცო... რა უბასუნა იციოთ? — კამფეტი რაღა კამფეტი უნდაო...

ჩვენი სიცილი რომ ჩაწყნარდა, განაგრძო:

— მათრახის ტარით ბოხობი გადაიწია, თითქოს მღვდლარე გადაგვაგლეხო, ისე გადმოგვხედა და წავიდა. დაგვტოვა ასე ენაჩავარდნილები.

— კაი ვაუკაცი ყოფილა, — დანანებით თქვა კოწომი.

— ვაუკაცი კი არა და... ზუსტად შენი სიმალე იყო, არც მეტი; არც ნაკლები.

— სიმალეს რა ჰქუა აქვს, იმ დღეს არ იყო, სათბობში კისრულით რო გადმოგიღე? — იწყინა კოწომი.

— მართალია, — სახე დაისერიოზულა იაგორამ, — ეგრე კი ნუ უყურებთ, ცარიელი ჯანია, ეს ღმერთადლი ესა... თქვენთან ბოდიში, — პირზე ხელი იტაცა, მოკრძალებით შეხედა ნუნუს.

— აღარ შემიძლია, ამდენი ჩემს სიცილებში არ მიცინია... სულ მინდა, გკითხოთ, ეს საფლავის ქვები აქ საიდან გაჩნდა?

— არსაიდან, თავიდანვე მანდ იყო.

— კი მაგრამ, ნახევრად წყალში არიან და... — ღიმილი გაუქრა ნუნუს.


— ჯერ სასაფლაო იყო. წყალი მერე მოვიდა; მდინარე როცა დააგუბეს.

— საყდრის ნანგრევები ჩანს, თუ დააკვირდით, — ცარიელი ბოთლი მოტეპნილ მიწაზე მიაგორა შოთამი.

— მეგონა, საიდანმე მოიტანეს-მეთქი.

— როგორ გეკადრებათ, მაგ მძიმე ქვებს აქ ტყუილუბრალოდ რაზე მოათრევდნენ, — კოწომ პატარა, ღარიანი ხანჯალი უკვე ვაციებულ ხორცს დაუსვა.

— მძიმე და უპატრონო... — მოიწყინა ნუნუ.



— რატომ, უპატრონო, აქ არა ვარ! — მეკრძრე მჯილი დაირტყა იაგორამ — აბა, შემივსეთ... ახლა საწყალ პაპაჩემს გაუმარჯოს, — აბანოშია. ნავით გადაევუვლი და გადმოვუვლი ხოლმე.

უხერხულად გაგვეცინა, ტანში უსიამოვნოდ შემეჭრიალა.

— და თქვენ ამაზე ხუმრობთ? — გაფთვრებულმა ნუნუმ გაოცებით შეხედა არუის დაღვევის მერე ტუჩებმომუწულ იაგორას.

— მაშ რა ვქნა, ჯიგარი კი მეწვის, მაგრამ რა ვუშველო!

— ცუდად ვარ, ეს თევზი ყელში ამომდის — ჩამჩურჩულა ნუნუ.

— გავიღეთ? — თავი უსიტყვოდ დამიქნია...

ფიცრულის უკან ვიდექით. რამდენიმე ნაბიჯზე სიბნელით გაშავებული ტყე ირხეოდა. თავგადაწეული ნუნუ პაერს ხარბად სუნთქავდა.

— გავიარა?

— ცოტა კი!

— წელან რა ჩაიფიქრე?

— აღარ მახსოვს.

— მაინც?

— თუ მოვარტყამ, სულ ერთად ვიქნებით-მეთქი.

პასუხმა ხასიათი გამომიკეთა.

— აბა, მაგაზე თუა დამოკიდებული, შინ ქვეყნის ქილები გვაქვს, დადექი და ამსხვრიე.

— შენ ხომ ყველაფერი უნდა გააუბრალოვო... შევიდეთ, უხერხულია...

— ჯიგარი მეწვის-მეთქი, ჯიგარი, გითხარით და არ დამიჯერეთ. არც ამ გოგომ დამიჯერა... რათა, შევილო? — თვალი თვალში გაუყარა ნუნუს, — ხუმრდება აძლებინებს კაცს, თორემ ჯავრი ცოცხლად შეჭამს...

— კარგი, ძია იაგორ.

— დამაცა, შოთა, დამაცა... — ველარ განაგრძო, რაღაც გაეხირა ყელში, სახე ხელისგულებში ჩამალა და მხრები აუკანკალდა...

* * *

ქარი ერთბაშად ჩადგა. ტყე გაისუსა. ხეობაში საფუარივით გაიფოფრა ჩაწოლილი ნისლი და გაღმა სოფლიდან გამომკრთალი სინათლები მიმალ-მომალა.

— წელს აღრე ჩამოთოვს — დაარღვია სიჩუმე შოთამ.

— ჰო! დაეთანხმა კოწო და შემთვრალი ჯირკზე გადაქანდა, — ხალხო, არ ვიმღეროთ?

— ჩვენ თქვენი სტუმრები ვართ, იმღერებთ? — ვიმღერებთ! არადა ვისხდებით ასე, — თვალი ჩამიკრა ვაჟამ.

— რომელი, იაგორ, „შავლეგო“ თუ... პა... გეყოფა, ცოტა ცრემლი ჩემი სიკვდილისთვისაც შემოინახე.

— ჯერ ისა, — ძლივს აიღო დამძიმებული თავი იაგორამ, — „შავ კლდესა შავი ყორანი“...

— ეგ მერე.

— არა, რა, კოწო, ხო იცი, როგორ მიყვარს: „ჩავა და ლეშით გაძღება, ამოსვლა დაეზარება“ — წაუღერა და მეგობარს იდაყვი წაჭკრა, ამყევით...

ხმამალა, ბოლომანდ მღეროდნენ. ხმის ღონიერი ნაკადი ფიცრულში ვერ ეტეოდა, დახვეწილი წყალივით მითქრიალებდა. ვაი მას, ვინც წინ გადაუდგებოდა, მკლავებს შესაჩერებლად გაუშლიდა, — გადაჭევადა, ქვასა და ღორს შეურევდა. სიტყვები ერთმანეთს დაჯახებული ხმლებით კვესავდნენ და იაგორას სახეს ნღვერდალივით თუთქავდა თვალის უპესთან, დაქსელილ ნაოჭში ჩამდგარი ცრემლი.

144.41

მარტის სს. სპ. სს. რისკულ.



სოკრატ ხურცილავა,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოცენტი.

113 წლის წინათ პარიზის კომუნარებმა „იერიში მიიტანეს ზეცაზე“. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში პირველი პროლეტარული რევოლუცია, რომელმაც დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა. საფრანგეთის ბურჟუაზიამ საერთაშორისო რეაქციის დახმარებით სისხლში ჩააღრჩო პარიზის კომუნა. კომუნარებს სასტიკად უსწორდებოდნენ. ამ საქმეში საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობას ბელგიის რეაქციაც ეხმარებოდა. მსოფლიოს პროგრესულმა აღამიანებმა ხმა აღიმალეს კომუნარების დევნის წინააღმდეგ. ცნობილია ილია ჭავჭავაძის წუხილი კომუნის დამარცხების გამო. კომუნარები დაიცვა დიდმა ფრანგმა მწერალმა ვიქტორ ჰიუგომ.

1902 წლის 20 მარტს მეფის ცენზურამ აკრძალა, დაებეჭდათ აქრძალ „კვალში“ ბელგიიდან გამოგზავნილი ვრცელი წერილი: „ვიქტორ ჰიუგოს 100 წლისთავის გამო“. წერილში ლაპარაკია იმ მხარდაჭერაზე, რაც დამარცხებულ პა-

რიზის კომუნარებს გაუწია ვიქტორ ჰიუგომ.

გამოჩენილ ფრანგ მწერალს დაბადების 100 წლისთავი შეუსრულდა 1902 წლის 26 თებერვალს. ეს თარიღი ზემოთ აღუნიშნავთ ბელგიაშიც. ავტორი წერს (წერილი ინახება საქ. ცენტრალურ საისტორიო არქივში, ფ. 480, აღწ. 1, საქმე 1781, ფურც. 8): „ეს გარემოება (ვიქტორ ჰიუგოს დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნა ბელგიაში) მით უფრო საგულისხმო იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ 1871 წელს იმავე ბელგიამ ვიქტორ ჰიუგო გააძევა თავისი საზღვრებიდან, როგორც საშიში პიროვნება. ერთ ღამეს ჩაქვავებაც კი დაუბრეს. ასე ცვალებადია მიზანი ისტორიისა. დღევანდელი დღე ეთავსება იმავე კაცის სახელს, ვინც გუშინ ავაზაკად იყო გამოცხადებული და სასიკვდილოდ გამომეტებული“.

პარიზის კომუნის დროს ვიქტორ ჰიუგო ბრიუსელში ცხოვრობდა. კომუნის დამარცხების შემდეგ ბელგიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტი-

ლება, რომელიც კომუნარებისათვის კრძალავდა თავშესაფრის მიცემას. ბელგიის პრესაში გამოქვეყნდა ვიქტორ ჰიუგოს საპროტესტო წერილი, იგი წერდა: „მე პროტესტს ვაცხადებ წინააღმდეგ ბელგიის მთავრობის განცხადებისა და ზომებისა პარიზის დამარცხებულთა შესახებ... მე მწამს კომუნის პრინციპი, თუმცა არ ვეთანხმები კომუნის მოქმედ... ბელგიის მთავრობა დამარცხებულთ უარს ეუბნება თავშესაფარზე. მე ვაცხადებ, რომ ჩემი სახლი მათთვის ღია იქნება, ჩემი ჭერი იქნება მათი თავშესაფარი, ამით მე პატივს დავებ ბელგიას“ (ვიქტორ ჰიუგო იმხანად ბრიუსელში ცხოვრობდა, ბარიკადების ქუჩის № 4-ში).

წერილის ავტორი შემდეგ მოგვითხრობს: „მეორე დღეს ავაზაკთა ბრბომ ალყა შემოარტყა ჰიუგოს სახლს და მოსთხოვა მას, გაეცა კომუნარი დომბროვსკი, რომელიც თითქოს მის სახლს აფარებდა თავს. დომბროვსკი ამ დროს უკვე დახვრეტილი იყო. ჰიუ-

გომ მათ გადასძახა: „საცოდავებო!“ ჰიუგოს სახლის ფანჯრებს ქვები დაუშინეს. მას არავინ გამოესარჩლა, არც პოლიცია, არც ჯარი. ეს ბრბო შედგებოდა მაღალი წრების ბურჟუაზიისაგან.

1871 წლის 30 მაისს ჰიუგოს წარუდგინეს ბელგიის მთავრობის შემდეგი დადგენილება: „ამით ებრძანება ვინმე ბატონ ჰიუგოს, მწერალს, სამოცდაცხრა წლისას, დაბადებულს ქალაქ ბეზანსონში, დროებით მცხოვრებს ბრიუსელში, დაუყოვნებლივ დასტოვოს სახელმწიფოს საზღვრები, ამასთანავე მომავალშიც აკრძალული ექნება აქ დაბრუნება“.

ჰიუგო გააძევეს ბელგიიდან, 1902 წლის 26 თებერვალს კი მემორიალური დაფა გააკრეს იმ სახლზე, სადაც ჰიუგო ცხოვრობდა. ბელგიამ ოფიციალურად იდღესასწაულა ჰიუგოს დაბადების 100 წლისთავი. „დიდებული ვიქტორ ჰიუგო მარტო საფრანგეთს კი არა, მთელ განათლებულ კაცობრიობას ეკუთვნის“ — წერდნენ ბელგიაში.

საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ონის სახალხო თეატრის მთავარ რეჟისორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს — გიგა ჯაფარიძეს ჭაბუკობიდანვე ძმური სიანლოვე აკავშირებდა თავის ფრიადოსთან თანაკლასელთან შიმყონ შიმშილაშვილთან. ისინი ერთად კითხულობდნენ წიგნებს, ერთად თამაშობდნენ განუყრელი მეგობრები, როცა წამოიზარდნენ, ერთად დგამდნენ პიესებს. ძმადნაფიცები მხოლოდ დიდმა სამამულო ომმა დააშორა ერთმანეთს.

ომის დაწყების პირველ დღესვე შიმყონი ჯარში გაიწვიეს. ვიდრე მშობლებს დაემშვიდობებოდა, გიგა ჯაფარიძის ოჯახს ეწვია. შიმყონი გიგას მშობლებმა გულთბილად გააცილეს.

წასვლისას შიმყონმა ქალბატონ ქეთევანს უთხრა:

— ფრონტზეც თქვენი დიდი

ქაბუკობი

სპარტაკ რეხვიაშვილი,

ხალხთა მშრომლობის მუშაუმი
უფროსი მენეჯერი თანამშრომელი

სიყვარული და იმედი მიმყვება, ისე ჩათვალეთ, თითქოს თქვენი შვილი მიდის მტერთან საბრძოლველად. იმედი გქონდეთ, სირცხვილს არ გაჭმევთ.

გიგამ შიმყონის პირველი წერილი ყირიმიდან მიიღო: უკრაინის მიწა-წყალზე ვიბრძვი და ფაშისტებს თავზარს ცვემო. ეს იყო და ეს, მას შემდეგ მისი წერილი აღარ მოსულა...

გიგა ჯაფარიძის პირად არქივში დაცულმა ერთმა მეტად საგულისხმო დოკუმენტმა მიიპ-

ყრო ჩვენი ყურადღება. უკრაინის კომპარტიის ხერსონის საოლქო პარტარქივის გამგე მ. ლადიჩუკი გიგა ჯაფარიძეს თავის წერილში იხსენიებს, როგორც 1942-1943 წლებში ქ. ხერსონში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ მოქმედ იატაკქვეშელთა ჯგუფის აქტიურ მონაწილეს და იქვე დასძენს: — იატაკქვეშ მოქმედ მამაც პატრიოტთა სიაში თქვენი გვარიც არის მოხსენიებული. ჯილდოზე წარსადგენად ავტობიოგრა-

ფია და ფოტოსურათი გამოგვიგზავნეთ.

უკრაინიდან მიღებულმა წერილმა განაცვიფრა გიგა ჯაფარიძე. სამამულო ომში არ მიუღია მონაწილეობა, არც ხერსონის იატაკქვეშელთა საქმიანობაში. მაშ რატომ სთხოვდნენ სურათს და ავტობიოგრაფიას?

მალე ყველაფერი გაირკვა. თურმე ქალაქ ხერსონის იატაკქვეშელთა ჯგუფში გიგა შალვას ძე ჯაფარიძის სახელით აქტიურად იბრძოდა შიმყონ შიმშილაშვილი. კონსპირაციის დაცვის მიზნით, იატაკქვეშელ მეტროლს თავისი სიყვარულის მეგობრის გიგა ჯაფარიძის სახელი, მამის სახელი და გვარი აურჩევია.

შიმყონი ბოლომდე თავისი ძმობილის ერთგული და მოსიყვარულე დარჩა!



გაზაფხულდაო...

გაზაფხულდაო! — შეიძრა მიწა,
წამთრის თეთრეულს იცვლიან მთები.
რილო-ჭრილოში ენძელეებს ღვიძივს,
ია-იების სურნელით ვფრთხვები.
ზეცის პირველი გრუხუნის ვიცან
საგაზაფხულო: ქებათა-ქებით.
გაზაფხულდაო! — გუგუნებს მიწა.
გაზაფხულდაო! — გუგუნებს ზეცა,
გაზაფხულდაო! — გრიალებს ხევი.
უინულის კალოს მზის კვერთხი ღეწავს
და მოჭრებს ღელე თაპირის
მტკრევით...

ასე მგონია, ფრთა მომცევს მეცა
და ამაფრინებს ზევით, სულ ზევით.
გაზაფხულდაო! გუგუნებს ზეცა...
გაზაფხულდაო! — შრიალებს ნუში,
„კაფე-თესეო“!... გვიხმობს გუგული.
აჰა, მთესველი ჩამდგარა ხნულში
და ჰქუხს სიმღერა ხმაჩაგუბული.
აჰა, მთესველი ჩამდგარა ხნულში
და ტრაქტორების არის გუგუნი.
ამწვანდა ველი, ტყემ გაიღვიძა...
გაზაფხულდაო! — შეიძრა მიწა.

ერთხელ კიდევ

გომბორიდან მოჭრის ქარი,
თავთავების დამრხეველი.
მკათათვეა, მკის დრო არი
და პურს მკიან კახელები...

ალაზანზე სიომ დაჰკრა —
პურის ყანა გადასცურა.
ალაზანზე სიომ დაჰკრა,
ვერცხლის წყალში
ფრთხანაწურმა...

და პურს მკიან კახელები,
ოფლით მკლავებმობანილინი.
გაყრუა მთა-ხევეები —
გაჰგუგუნებს კომბაინი.

მე პურსა ვმკი, მაღლიანი,
აირჩიე შენ კი კალო.
ამ ყანიდან სად ვიარო,
შენ გიმღერი, შენ გიგალობ.

გაჰგუგუნებს კომბაინი...
ღამით მდგლო თვალსველია.
ცას შირაქულ ხორბალივით
ვარსკვლავები დასვეია.

ნეტავ ერთად ყანას ვმკიდეთ,
ყოფილიყავ ჩემთან ახლოს.
რა მოხდებდა ერთხელ კიდევ,
ერთხელ კიდევ დამენახო?!

ყანაო

ტოროლას ფრთებზე ირწევი,
ნიავის ყელზე ნანაობ,
ტარობეჩაოქროილო,
ჩაქარვებულო ყანაო.

აგერ სათაყვანები,
ბიბინებენ ყანები.
ბიბინებენ ველები —
მწვანე ცისარტყელები.
როგორც მზის მადრევენები,
ქარვას ღვრიან მტევენები.

წვიმა

აქ მზის სხივებს დაუხაზავთ მინდორი თუ კორდი,
ახლა წვიმას ნატრულობენ: — ჰე, წვიმაო, მოდი!
ის თავთავიც იხვეწება მძიმედ, მძიმედ, მძიმედ...
— შხაპუნაო, ჩამოხაპდი, რად გვიანობ, იმე?!..
იქ გვირილა გაიძახის: — მზის თვალსა მჭრის სხივი,
ბასრია და მოელვარე ცინცხალ აღმასივით.
გაიგო და მოისმინა წვიმამ ყველაფერი,
ცას ღიმილი მოერია ოქროდ გადაფენილს...
ჟუჟუნ-ჟუჟუნ წამოვიდა, თანაც სავსე ჰეშვი
მიიქნია, მოიქნია მთაში, ბარში, ტყეში.
აჩხრიალდა, აშრიალდა წვიმა სანატრელი,
გაახარა, გაალაღა ბალი, ჭალა, ველი...

გაზაფხულის მზეო!

გაზაფხულის მზეო, ბრიალებ და იწვი,
გაზაფხულის მზეო, სინედლე ხარ მიწის!
განთიადებს ფერავ და სიცოცხლეს ანთებ,
უბე-მკერდით ათბობ ჩვენს ნახნავს და ნათესს.
აგერ, მწყემსი ბიჭიც გიმღერს სალაპურით,
ყვავილნარიც შენთვის არის განაბული.
ღიდღულს, ამპარტავანს, ქედს არასდროს უხრი,
ღამეს ეგავრები, ვერ გიკარებს მწუხრი...

ალიო მირცხულავას (მამაშვილის)
იუბილემ მრავალი სასიამოვნო მო-
გონება გამიცოცხლა. მაშინ ყოფილი
მე-14 შრომის სკოლის მოსწავლე
ვიყავი. ეს სკოლა ტერიტორიულად
ახლოს იყო მწერალთა კავშირთან,
რის გამოც ხშირად ვხვდებოდით მა-
ჩაბლის ქუჩაზე მიმავალ ახალგაზრ-
და პოეტს, რომელსაც ცისფერი
თვლები და ოქროსფერი ხუჭუჭი
თმები ჰქონდა, მისი პოეზია ჭუხდა,
არ იყო არც ერთი ადამიანი, ახალ-
გაზრდა თუ მოხუცი, ალიოს ლექსე-
ბი ზეპირად რომ არ ცტოდნოდა.
ეს ლექსები ხალხმა ადვილად შეით-
ვისა და შეიყვარა...

მე და დედაჩემი — საფო მგე-
ლაძე მუდამ ერთად დავდიოდით
მწერალთა კავშირში პოეზიის სალა-
პოებზე: სადარბაზო შესასვლელთან
თავს იყრიდნენ ხანდაშუილი მწერ-
ლები. ახალგაზრდობას უფრო იზი-
დავდა სასახლის ბაღი, რომელსაც
ლაშაზი დეკორატიული ხეები ამშ-
ვენებდა, შადრევანი ამოჩქეფდა.
იქვე ფრთებგაშლილი თითქმის ამუ-
რის ქანდაკება იდგა. ყველაფერი ეს
რალაც ზღაპრულ გარემოს ქმნიდა.

მახსოვს, ერთხელ, საღამოს და-
წყების წინ, ბაღში ალიო შემოვიდა,
დედაჩემს ღიმილით ხელი ჩამოარ-
თვა და უთხრა:

— როგორ მომწონს „ლიანა ღორ-
დია“, ორიგინალური ქალია.

— თუ მოგწონს, ემიე იგი ქარ-
თულ სინამდვილეში, ასეთი ქალები
არსებობენ.

— ძებნა საჭირო არ არის, ის
ჩემს წინ დგას.

— მეც ამ აზრისა ვარ, — ამბობს
ირაკლი აბაშიძე და ალიოს გვერდით
ჩერდება.

ჩემთვის დაუფიქვარია რვა მარ-
ტის ერთი საღამო... მაშინ რუსთავე-
ლის განზირაზე ვცხოვრობდით მწე-
რალი ქალის, კატო მიქელაძის, ბი-
ნაში.

ერთ დღეს ჩვეულებისამებრ, გვე-

შენ გაიყვარს ცეცხლი, აფეთქება და გრივალები,
ბრძოლის აღმურში გადაეშვი შენც თავდაყირა.
მარდად არბიხარ მწვერვალებზე მთელი ძალეებით
და ოქტომბერმა შენც აგანთო ბრძოლის საყვირად.
შვილი ხარ მაღალ საუკუნის, იქიდან მოხვალ,
მბორგავ ვეწუვის ცხელმა ტალღამ ამოგისროლა.
შენს პოეზიას განახლების გრივალი მოჰყვა
და იყო მხოლოდ შეჯახება, ცეცხლი და ბრძოლა.
მე ვნახე იმ დროს, როცა შენში იფეთქა გრძნობამ
და ნორჩ ლომივით დედამიწას ურტყამდი ტორებს,
უთხზავდი ლექსებს შენი ქვეყნის ახალგაზრდობას
და ადიდებდი საქართველოს აზიდულ გორებს.
ერის აღდგენა, ამაღლება ყოველთვის გასურდა,
რომ არ ჰქონოდა მის დასასრულს არასდროს ბოლო,
ბავშვო პოეტო! დარჩი მუდამ ასეთი სუფთა
და მამარ ბრძოლებშიც ხელოვანი იყავი მხოლოდ.

გვიან, ძალიან გვიან დაიშალნენ.
დედაჩემის სიკვდილის შემდეგ ა. მა-
შაშვილი ხშირად გვესაუბრებოდა
საფოზე. მის გმირებზე, წუხდა, რომ
ადრე წავიდა ამქვეყნიდან და ზე-
პირად ამბობდა იმ ლექსებს, რომ-
ლებიც მას საფომ უძღვნა. სხვათა-

სტუმრნენ: ნინო ნაკაშიძე, მარიჯა-
ნი, ლილია მეგრელიძე, ბაბილინა,
დარია ახვლედიანი. წინ მოდიოდა
ალიო მამაშვილი იებით. საფოს მე-
გობრები 8 მარტის მოსალოცად მო-
ვიდნენ. ალიოს მაგიდის თავში მიუ-
ჩინეს ადგილი და თამალობა სთხო-
ვეს.

— ჩემს სიცოცხლეში ქალების თა-
მადა არ ვყოფილვარ...

— მით უკეთესი, ახლა იქნები, —
თქვა ბაბილინამ.

— დღეს, რადგან რვა მარტი,
ალიო უნდა იყოს ჩვენი თამადა, —
თქვა მარიჯანმა.

— წელიწადში ერთი დღე მაინც
გვეცით პატივი მამაკაცებმა, — ით-
ხოვს ლილიამ.

— მთავრობებო, ნუ აუხირდით ამ
ახალგაზრდა კაცს, დააცადეთ, დაის-
ვენოს, ჭამოს, ლექსები წაგვიკითხოს.
თამადაობასა და ღვინის სმას ლექსი
სჯობია, — ბრძანა თამადათვლილმა
ნინო ნაკაშიძემ.

ალიო სწრაფად წამოგდა და ქალ-
ბატონ ნინოს ხელზე ეამბორა. ამ
დროს პიერ კობახიძე შემოიჭრა
(იგი ჩვენ გვერდით ცხოვრობდა).
მარცხენა ხელში ხილით სავსე ლან-
გარი ეჭირა, მარჯვენაში — ღვინი-
ანი ჭიქა, ქალებს რვა მარტი მიუ-
ლოცა, ალიოს გადაეხვია.

— ჩემი თამადაობა შენთვის გად-
მომილოცავს, — უთხრა ალიომ.

— გამოჩნდილ მწერალ ქალთა
თამადაობას რა სჯობია. ვასრულებ
თქვენს თხოვნას, — თქვა პიერმა
და პირველი სადღეგრძელო ლექსად
წარმოსთქვა.

— შენ, ძმაო, მარტო არტისტი
მეგონე და პოეტიც ყოფილხარ, —
უთხრა ალიომ და ხელმეორედ გადა-
ეხვია პიერს. შემდეგ ვახტანგურად
შესვეს ღვინო. იმ ღამეს ალიომ თა-
ვისი საუკეთესო ლექსები წაიკითხა.
საპასუხოდ დედამ წაიკითხა ალიო-
სადმი მიძღვნილი ლექსი „მეგობარ
პოეტს“:

„კომუნისმის მშენებელი“, ს.ბ.ბ.,
15. I. 84 წ.

ავთანდილ ჩხეიძე,

საპარტიველოს სსრ დამსახურებული
მასწავლებელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩერქეზიანთ ლიწა

არბო, პატარა სოფელი არბო, კავკასიონის მთების კალთებზე შეფენილა. მისი გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი და ისტორიული წარსული ქართლის სხვა სოფლები-საგან დიდად როდი განსხვავდება, მაგრამ როგორც საქართველოს სხვა დასახლებულ ადგილებს, მასაც აქვს სხვათაგან განსხვავებული ისტორია, სხვათაგან გამოსარჩევი თუ გამოსარჩენი ნიშან-თვისება.

არბო.. ეს სოფელი თითქმის ყველა ქართველში იწვევს ძველი სოფლის დუბლირი ცხოვრების ასოციაციურ სურათებს; იტყვი არბოს და წარმოგიდგება დიდებული მწერალი ნიკო ლომოური. მერე გაგახსენდება მისი ნაწარმოებების გმირები: ბედით უბედურნი თუ ყინვისაგან დამზარალი ყმაწვილი, ყველა ბავშვისათვის სამახსოვრო ისტორია ქაჩანასი...

არბო თავის გულში ინახავს მწერლის, საზოგადო მოღვაწის, „მაცი ხვითას“ და სხვა ქმნილებათა ავტორის—ანტონ ფურცელაძის სახელსა და დიდებას, მაგრამ ამჯერად ამაზე არ შევიჩერდებით. ეს სახელები გავიხსენეთ იმიტომ, რომ არბო იმ სოფელთაგანია, რომელსაც ძალუძს, იამაყოს თავის შვილთა შემოქმედებითი ცხოვრებით, იმ წვლილით, რაც მას შეუტანია ქართული კულტურის ისტორიაში.

სწორედ ამ ისტორიის ერთი ფურცელია ამბავი, რომელიც დაკავშირებულია თეატრალურ მოღვაწეთა ბრწყინვალე წარმომადგენლის ელისაბედ ჩერქეზიანის ცხოვრების საწყისთან, მისი როგორც მსახიობის აღმოჩენასთან.

იღვა 1944 წლის ზაფხული. მაშინ არბოს რვაწლიანი სკოლის დირექტორად ვმუშაობდი. სკოლა ანტონ ფურცელაძის სახელი იყო მოთავსებული. ანტონის სახლი კი შურულების სახლს ემიჯნებოდა, მათ შუა სოფლის ერთადერთი მიდინარე დიციურა ჩამოდოდა (ახლაც ჩამოდის).

ასე შუადღის პირი იქნებოდა, ივლისის თაკარა მზე აცხუნებდა, ნიკო ლომოურის ქალიშვილ ნინოსთან (ნიკო ლომოურის უმცროსი ქალიშვილი, პროფესიით იურისტი, იმ დროს უკვე პენსიონერი, კეთილი, სანდომიანი და ტკბილმოუბარი, ყოველ წელს ჩამოდოდა არბოში და ზაფხულს თავისი მამის ჭერქვეშ ატარებდა. უყვარდა ნარდის თამაში და თუ პარტიზორი არა მყავდა თავისთავს თვითონ ეთამაშებოდა) სტუმრობის შემდეგ, ლიანვის პირას გავლას ვაპირებდი, რომ შურულების ცხოში ორი ხანდაზმული ქალი შეენიშნე, კაკლის ჩრდილში ისხდნენ და საუბრობდნენ. ერთში აჭაური მკვიდრის, სამხედრო კაცის დურმიშხან შურულების ქალიშვილი ნინო

ნო შევიცანი, მეორე კი, აი საოცრება, ელისაბედ ჩერქეზიანის გახლდათ. მისვლა და სალამი მეწადა, მაგრამ ვერ შევებდე და ფეხი ავითრიე, იქნებ თვითონ შემამჩნიონ-მკეთი. მართლაც ქალბატონმა ნინომ დამინახა და მიხმო კიდევ თავისთან.

— ეს ჩვენი სკოლის ახალგაზრდა დირექტორია, — წარმადგინა ქალბატონმა ნინომ. — ჩვენი ლიწა დაფასებული ქალია, ფეხი კი აქ აიდგა...

— ქალბატონი ლიწა რომ დაფასებულია და ღირსეული მოღვაწეც ამაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. — დავიწვე მე და ის-ის იყო უნდა მოვყოლოდი ქებათა-ქებას, რომ ელისაბედ ჩერქეზიანის ხელი აიქნია და გამაჩერა:

— სჯობს აჭაურ, სოფლურ ამბებზე ვილაპარაკო.

ელისაბედ ჩერქეზიანის დაინტერესდა სკოლის ცხოვრებით, მოსახლეობის მდგომარეობითა და იმითაც, გოგო-ბავშვები (ეს მისი სიტყვებია) წარმოდგენებს თუ მართვენ და თუ ეხერხებათ ასეთი რამეო, იქვე დასძინა — თუმცა ცხლავის სკოლიან მაგისათვის (ომი იგულისხმე) და მაინც ელისაბედ ჩერქეზიანის თითქმის გარდაიქმნა, ლოყები წამოუწითლდა, ხმაც შეცვალა, ისე თავისით, თორემ თვითონ ხომ უბადლო ოსტატი იყო სახეცვლილებისა, გარდაქმნა-გარდასახვისა, ამაზე არ არის ლაპარაკი; და ეს მოხდა, ალბათ, იმიტომ, რომ მის თვალწინ გაიბრინა სიუმაწვილიმ, აქ გატარებულმა დღეებმა. აქ განცდილმა და დიდმა სამადლობელმა ამ სახლ-კარისა, აქ მცხოვრებ და აწ გარდაცვლილ პირთა გახსენებამ.

ნელ-ნელა ლაპარაკობდა. მის ხმას რაღაც სითბო ამოსდევდა, რაღაც მადლიერების ვარძობა და აუნაზღაურებელი ვალის განცდა იგრძნობოდა მასში.

— ნინო, გოგო, გახსოვს, — მიმართა თავის კბილას, მისი სიუმაწვილის მეგობარს ნინო შურულეს, — როგორი ვიყავი მაშინ, თქვენსა რომ პირველად მოვედი, ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი.

— მასხოვს, ლიწა, დადვრემილი, ფიჭირანი, დაქანცული გამოიყურებოდი.

— მერე, მერე, ამ ჭერმა ჩამიდგა ხელახლა სული, მან მომცა ძალა, გავმკლავებოდი ბოლმად მოწოლილ ტვირთს, მსუბუქად ამეწია იგი და დამწყო ახალი ცხოვრება. დედაშენი, ქალბატონი ქეთევანი რომ არა. მე გამიწედა დარდი და ვარამი;

ერთი ამოიხრა ელისაბედ ჩერქეზიანის და მერე მოჰყვა თავის ცხოვრების გზას, ავბედითი გამოდგა ტირჩინისში, სულხანიშვილების ოჯა-

ში, მისი ქორწილი. ამაყმა, უღარადღმა მაჩაბელმა თვალში ამოიღო თოთხმეტი წლის ქალიშვილი და თავის საწადელსაც მიადწია, ცოლად დაისვა იგი. უიღბლო გამოდგა ეს შეუღლება, ისინი ერთმანეთს დასცილდნენ. რა ექნა, რა ეღონა მართოდ შეთენილს, ან როგორ მოეველო, როგორ აღეზარდა პატარა ნუცა. მისი სიხსლ-ხორცი... აი ამ დროს გამოჩნდა ქალი, ქეთევან შურული, როგორც თვით ელისაბედ ამბობს თავის მოგონებებში „იშვიათი მანდილოსანი, ფრიალ შეგნებული და ამასთანავე ქველმოქმედი“, მისი წყალობაა, რომ ელისაბედ ჩერქეზიანის ცხოვრების გზა იპოვა და ქართულმა თეატრმა — იშვიათი მსახიობი.

ქეთევანმა ამოცნო ელისაბედ ჩერქეზიანის მომავალი, მისი აქტიორული ნიჭი. მერე კი სარეკომენდაციო ბარათით გაგზავნა მაშინდელი თეატრალური დასის ხელმძღვანელთან, რეჟისორ ვ. თუმანიშვილთან. თუმანიშვილთან მიმავალი ელისაბედი თბილისში ანტონ ფურცელაძისთან ჩამოხტა, მერე კი ქეთევანის დაწყებული საქმე ანტონ ფურცელაძემ მიიყვანა ბოლომდე, აკი ამიტომაც მწერალს თბილად იგონებდა ელისაბედი, როგორც პირად საუბარში, ისე თავის მოგონებებში...

როგორც აღვნიშნეთ, ანტონ ფურ-

ცელაძე და ქეთევან შურული მეზობლები იყვნენ და ყოველ ზაფხულს ელისაბედ ჩერქეზიანის, ჩერქეზიანთ ლიწა, როგორც მაშინ ეძახდნენ, ხშირი და სასურველი სტუმარი იყო, როგორც ქეთევან შურულის, ისე ანტონ ფურცელაძისა; მისი იქ მოხვლა ხალისს, მხარულეხასა და სასიამოვნო განწყობილებას ქმნიდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლიწა სოფლად მცხოვრებ ხან ერთ მოხუც წარმოადგენდა და ხან მეორეს;

— მიდი, ლიწა, მიდი, — აქვებდნენ ქეთევანი და ანტონი; სწორედ ქეთევანის შეგულიანებით ერთხელ შურულების ოჯახში გამართული დიდი წვეულების დროს ლიწა ბებრულად ჩაცმული შევიდა სასტუმრო ოთახში და სახტად დარჩენილ სტუმრებთან საოცარი სცენა გაითამაშა. და როცა მან, ლიწამ, თვით ლიწას ლანძღვას მიჰყო ხელი, სტუმრებმა ის ვერ იცნეს და აღშფოთდნენ, აღელდნენ, ზოგმა ხმამაღლა იყვირა:

— გააგდეთ ეს ბებრუხანა აქედანო, — მერე კი ქეთევანმა დაამშვიდა ყველა, როცა ლიწას შალი მოხადა თავიდან.

მაგრამ აქ არ დამთავრებულა ლიწას წვრთნა, მისი ე. წ. გასტროლები არბოში, ახლა ანტონ ფურცელაძის ჭერიც დადგა.

სხვათაშორის, ანტონ ფურცელაძე



სასუნ

თბილისის
გაზეთი

თბილისის „დინამო“ ვარჯიშობს



რდებთან ერთად თბილისიდან ჩამოსულელებიც მონაწილეობენ, მათ შორის უფროსების ჩამომავალიც — თეონა და მარიკა უფროსები, თეიმურაზ ზაქარიაძე და მე, თქვენი მონა-მორჩილი.

— ყოჩაღ, კაცმა რომ თქვას, ეს ხუმრობა არ არის, თითქმის ყველა ცნობილი გვარია, ვნახოთ თუ ჩემს აქ ყოფნაში წარმოადგენთ რაიმეს, სიამოვნებით დაგესწრებით.

მას ამისათვის მაღლობა გადავუნადე და ვთხოვე, რომ მონაწილეობა მიეღო წარმოდგენაში. უარი არ მითხრა. რამდენიმე დღე წავიმეტადინეთ და ივნისის ბოლოს, ანტონ ფურცელაძის სახლის აივანზე ელისაბედ ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგინეთ იგივე პიესა „ხანუმა“, რომლითაც დაიწყო ლიზა ჩერქეზიშვილის შემოქმედებითი გზა. ჩვენ, მის პარტნიორებს, გაუწაფავ ახალგაზრდობას, მორიდება გვიბერობდა, მაგრამ რამდენიმე დღეში მან ისე გაგვწვრთნა, ისე გავკათამამა, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოვავლინეთ და წარმოდგენამაც, რომელსაც მთელი სოფლის დიდი და პატარა ესწრებოდა, კარგად ჩაიარა.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ელისაბედ ჩერქეზიშვილს ვთხოვე, მოეთხრო იმდღევანდელი განცდის შესახებ. მან გვითხრა:

— აქ რომ მოვდიოდი, ბევრს ვფიქრობდი, როგორ შემხვებოდა სოფელი, რა უნდა მეტყვა მე მათთვის და რას მეტყოდნენ ისინი, ან რა მიმეზღო მათი სიკეთისათვის და, აი, შემომეგება ჩემი სიყმაწვილე, თვალწინ დამიდგა ჩემი პირველი ნაბიჯები, სიკეთით სავსე ჩემი გზის გამკაფანე, ქეთევან უფროსი და ანტონ ფურცელაძე.

— რას გრძნობდით, სცენაზე რომ გამოდიოდით, არ გეუხერხებოდალათ ჩვენთან თამაში?

— არა, ვფიქრობდი, რომ დიდად დავალბული ვარ არბოხა და არბოღლებსაგან და მე მათთვის ისევე და ისევე ჩერქეზიანთ ხუმარა ლიზა ვარ, როგორც ამ სამოციოდე წლის წინ ვიყავი. ამ საღამომ დიდი სიამოვნება მომანიჭა, ერთგვარი სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს ხანდაზმულობა ჩამოვიბერტყე. გმადლობთ, დიდად გმადლობთ! სთქვა და გაჩუმდა. მერე თვით ლიზა ჩერქეზიშვილმა სოფლის მცხოვრებთათვის საკუთრივ გამართა საღამო და მათი დიდი მაღლობა დამისახურა. ეს ფაქტი, როგორც მახსოვს, გორის რაიონულმა გაზეთმა „სტალინელმა“ აღნიშნა სათაურით — „ელისაბედ ჩერქეზიშვილი არბოში“.

ეს ამ ორმოცი წლის წინ იყო, წელს კი ელისაბედ ჩერქეზიშვილის არბოხა და მერეთის სცენაზე გამოცვლის დღიდან, ფაქტურად მისი სხცენო (ოღვაწეობის დაწყებიდან, 100 წლის თავი სრულდება. მჭერა, რომ ნადღიერი ქართველი ხალხი პატვის მიაგებს დიდ მსახიობს და ღირს ულად აღნიშნავს მისი სასცენო მოღვაწეობის იუბილეს.

წარმოშობით არბოელი არ იყო, მაგრამ, როცა მან ბედი არბოელ ქალიშვილს დაუკავშირა, საცხოვრებლად ეს სოფელი აირჩია და აქ მშენებრი ორსართულიანი სახლი ააგო, სარდაფში კი შესანიშნავი მარანი მოაწყო.

ანტონი იყო არბოელ და ახლომახლო სოფელ გლეხთა მოჭირანხული, დამხმარე და ხელისშემწყობი, წამქეზებელი კარგსა და სასარგებლო საქმეში. ერთხელაც ანტონ ფურცელაძემ, როგორც იყო, დაითანხმა გლეხები, რომ მათი შვილებისათვის სკოლა გაეხსნა და უფასოდ ესწავლებინა. გლეხების თანხმობამ ანტონი ისე გაახარა, რომ მათ იშვიათი პურმარილი გაუშალა, და აი, სწორედ მაშინ სთხოვა ლიზას, რომ მათთვის „მალარიჩად“ ერთი კარგი წარმოდგენაც გაემართა. წარმოდგინეს ა. ცაგარელის პიესა „ხანუმა“, სადაც ლიზა ხანუმას თამაშობდა, მისი პარტნიორები იყვნენ კატო მიქელაძე, მაკიანე მესხი, სხვა როლები კი ფურცელაძეებს შორის განაწილდა...

და მაინც მისი დებიუტი შედგა (ეს იყო 1884 წელი), როცა ამაგდარმა კაცმა, საქართველოში კულტურული მემკვიდრის ნოვატორმა და ხილის ბაღების გაშენების პიონერმა — ისაია ფურცელაძემ ელისაბედ ჩერქეზიშვილს შესთავაზა მონაწილეობა მიეღო თეატრალურ დასში, რომელიც გლეხებისათვის წარმოდგენებს მართავდა. ელისაბედმა აქ ითამაშა შუშან („პეპო“), სარა და ქაბატო („ხანუმა“). ამის შემდეგ კი ქაბატონი ქეთევანისა და ანტონ ფურცელაძის უანგარო დახმარებით დიდ ასპარეზზე გავიდა.

დიდა არბოხა და მის მკვიდრთა წვლილი ჩემს დაქალაქში, ჩემს მსახიობად ჩამოყალიბებაში, მე მათ სიყმაწვილეში ჩამწარბეული დღეები დამავიწყეს და ასპარეზე გამოიყვანეს. ვუფურებ ამ მიდამოს, ღურამიხან უფროსის ქონგურჩაობაზე ულ სახლს და მახსენდება სანდომიანი, ყოველთვის მომღიძობი, სიკეთით სავსე დიასახლისი ქეთევანი. მერე გავცქერი ამ ბილიკს და ჩემს წარმოსახვაში ჩნდება ანტონ ფურცელაძე. აგერ ის ჭოხსდაყრდნობილი მუყურებს და მომძახის: — ლიზა, შენ დიდი მომავალი გაქვსო. ასედა მათი წინასწარხედვა, ისინი ჩემი მეორე მშობლები იყვნენ, არბო კი ის ადგილი, რომელზეც აღმოცენდა და დაკორდა ჩემი ნიჭი, — დაასრულა ელისაბედმა წამიერი გახსენება წარსულისა.

მისმა ნაამბობმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. თვითონაც, ეტყობა, შესძრა წარსულის მოგონებამ. ბოლოს ისევე მე დავარდვიე სიჩუმე და მორიდებით ვკადრე: — ქაბატონო ელისაბედ, ხომ არ გაიხსენებდით ახალგაზრდობას? — აბა ეს რა იყო, შე კაი აღამიანო, — მითხრა და უკლმოღრებით შემომხედა. მაშინ მე მას მოვუთხრე, რომ არბო არ ჰქარავს თავის ე. წ. ძველ „თეატრალურ“ ტრადიციას. აშუამად არბოში პატარა დრამატული წრეა, მასში არბოელ ახალგაზ-

ავთანდილ ლოლობერიძე, ზაურ კალოევი, რამაზ შენგელია, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, გივი ნოღია, დავით ყიფიანი...

რა თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი ისინი? ხომ არ არის არეულ-დარეული დრო და ამ ოსტატების „რანგი“ თავიდანვე უნდა აღენიშნოთ, რომ ლაპარაკი გვექნება ქართველ ფეხბურთელთა მიერ გატანილ გოლებზე და აქედან გამომდინარე, იმ ადგილებზე, რომლებიც მათ „ფედოტოვის კლუბში“ უკავიათ.

თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში არსებობს „სნაიპერთა კლუბები“, სადაც შედიან ის ფეხბურთელები, რომელთაც თავიანთ ანგარიშზე 100 და მეტი გატანილი გოლი აქვთ. ცხადია, ამ სიმბოლურ კლუბებს ძალიან ცოტა წევრი ჰყავს. 100 გოლი ყოველთვის იშვიათი მიღწევა იყო, 200 — დიდი იშვიათობა, 300-ის გამტანი კი ევროპულ თუ საერთაშორისო ფეხბურთში სულ თითოებზე ჩამოითვლება.

მას შემდეგ, რაც ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა კონსტანტინე ესენინმა (დიდი რუსი პოეტის სერგეი ესენინის შვილმა) „ფედოტოვის კლუბი“ დააარსა, ამ კლუბის წევრებითა თუ გაწევრიანებით ბევრი სტატისტიკოსი დაინტერესდა.

როგორც სხვა ყოველგვარ კლუბს, „ფედოტოვის კლუბსაც“ თავისი წესდება აქვს. ვის იღებენ მის წევრებად? იმ ფეხბურთელებს, რომლებიც 100 ბურთს „ოთხ ფრონტზე“ გაიტანენ: 1. საკავშირო პირველობაზე, 2. საკავშირო თასზე, ოღონდ აქ აღარეული ეტაპი, 1/8 ფინალამდე გათვალისწინებული არ არის, მხოლოდ, ასე ვთქვათ, „მაღალ დონეზე“ გატანილი გოლები ითვლება, 3. საბჭოთა კავშირის ნაკრების ოფიციალურ მატჩებში სხვა ნაკრებების წინააღმდეგ, ამასთან ნაკრების მატჩი რომელიმე კლუბთან არ ითვლება, 4. ევროპულ თასებზე — ჩემპიონთა თასების მფლობელთა ან უეფას თასზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი უპირატესობა, რომელიც თანამედროვე ოსტატებს აქვთ 40-იანი ან 50-იანი წლების ფეხბურთელებთან შედარებით. მაშინ ხომ ნაკრები ძალიან ცოტა მატჩებს ატარებდა, არც ევროპის ქვეყნების თასების გათამაშების მატჩში შეიძლებოდა გოლის გატანა. ამ გარემოებასაც ნუ დავივიწყებთ.

ყოველ კლუბს „პრეზიდენტი“ უნდა ჰყავდეს. ეს არჩევითი თანამდებობა არ გახლავთ. მას იკავებს ის, ვინც ყველაზე მეტი გოლი გაიტანა. ჩვენთან კიეველი ოლეგ ბლოხინი პირველი იყო, ვინც 200 გოლის ზღვარს მიაღწია. ამავე დროს კიევის „დინამოს“ მარცხენა გარემარბი ანდრე პირველიც არის და უკანასკნელიც, რადგან მას ახლომასლო კონკურენტი არავინ ჰყავს. საერთოდ კლუბის წევრების პირველ ათეულში ბლოხინი ერთადერთი მოქმედი ფეხბურთელია. მან შარშან 250-ს გადააჭარბა (254), 300-ის დაძლევის საშუალება კი, თუ არ ვცდებით: მას არ უნდა ჰქონდეს. რაც არ უნდა

იყოს, კიეველი სნაიპერი ვეტერანია და მისი სპორტული გზა დასასრულს უახლოვდება. აქ იმის დამატებაც შეიძლება, რომ ერთი ასპარეზი ბლოხინს მოაკლდა — კიევის „დინამოს“ მომავალ ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის უფლება არა აქვს.

ახლა ჩვენ „ფედოტოვის კლუბის“ ქართველი წევრები გვაინტერესებს. როგორია მათი მაჩვენებლები, ვის აქვს ამ მაჩვენებლების გაუმჯობესების პერსპექტივები?

„მუღმივ ცხრილში“ მეთექვსმეტი უკავია შესანიშნავ თავდამსხმელს, შემდეგში შუა ხაზის მოთამაშეს, დაუეწიარ ავთანდილ ლოლობერიძეს. ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომლებიც მის მხარდამხარ თამაშობდნენ, ყველაფერში შეეძლოთ ლოლობერიძისაგან მაგალითი აეღოთ: რაინდობაში, სპორტულ თავდადებაში, რაღაც იშვიათ საბრძოლო ტინში, პატიოსნებაში. ლოლობერიძის ტექნიკა ხომ პირდაპირ საარაკო იყო. მან „კლუბის ჩათვლით“ 134 გოლი გაიტანა. უკვე ვთქვით, რომ ლოლობერიძის დროს საბჭოთა კავშირის ნაკრები ძალიან ცოტა მატჩს თამაშობდა. ასე არ ყოფილიყო, ლოლობერიძე ნაკრების დონეზეც ბევრ ბურთს გაიტანდა.

ცხრილში მეთორმეტეა ზაურ კალოევი — 131 ბურთი. ეს მაჩვენებელი შედგება საკავშირო ჩემპიონატებში (116) და თასებზე (15) გატანილი ბურთებისაგან. კალოევის დროს თბილისის „დინამო“ ევროპულ ტურნირებში არ მონაწილეობდა, თორემ ევროპაშიც ნახავდნენ, როგორ თამაშობდა ქართველი სნაიპერი თავით. ცოცხა გამოტეხილი სკობსო, ნათქვამია, თავით თამაშის სფეროში ჩვენს ფეხბურთში მაინც დამაინც დიდი ოსტატები არა გვყავს.

და აი 1984 წლის სეზონის დასაწყისისათვის ცხრილში მეცამეტე-მეთოთხმეტე ადგილებს იყოფს რამაზ შენგელია. ჯერ კიდევ მაშინ, როცა რამაზი სრულიად ყმაწვილი იყო და ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა, ჩანდა, მისგან ჩინებული სნაიპერი დადგებოდა. როცა 1983 წლის სეზონის შედეგები შეჯამდა, შენგელია „ფედოტოვის კლუბში“ 127 გატანილი გოლი მეცამეტე-მეთოთხმეტე ადგილებზე იყო კონსტანტინე ბესკოვთან ერთად. შენგელია კლუბის წევრი 1982 წელს გახდა, ალბათ, დაგაინტერესებთ, საიდან შედგა ეს საკმაოდ შთაბეჭდილი რიცხვი — 127 გოლი? შენგელიამ საკავშირო ჩემპიონატში გაიტანა 95 გოლი (ეს კი იმას ნიშნავს, რომ წლეულს იგი, ყველა შემთხვევაში გადააბიჯებს ასის ზღურბლს). ამას უნდა დაემატოთ საკავშირო თასზე გატანილი 6, ნაკრებში გატანილი 10, ევროპის თასებზე მოპოვებული 16 ბურთი.

ახლა შენგელიას მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, თავისებურია. დავიწყეთ იმით, რომ მას საფრთხეს ვერავინ უქმნის, ვერავინ დაუწევა. მოქმედი ფეხბურთელებიდან ძალიან ცოტანი ვადასცდნენ ასს, ყველა საკმაოდ ხანდაზმულია, რაც შეეხება შენგელიას, მას კიდევ შეუძლია გა-



რამაზ შენგელია


ქართველი სნაიპერები უკლოსტროვის კლუბში

აუმჯობესოს თავისი შედეგები. რამაზი 27 წლისაა, ცხადია, კიდევ ითამაშებს რამდენიმე წელს. ამიტომ რეალურად გვეჩვენება, რომ 1984 წელს შენგელიამ „მუღმივ ცხრილში“ 5-6 ადგილით წაიწიოს წინ. ამისათვის მან 14-15 ბურთი უნდა გაიტანოს, ნაკრების დონეზე ან თბილისის „დინამოში“... აქ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ: „მუღმივ ცხრილში“, თუ შორს წასულ ბლოხინს არ გავითვალისწინებთ, მხოლოდ ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც აღარ თამაშობენ, ასე ვთქვათ, „თავდაცვის საშუალება არა აქვთ“. აი მათი მაჩვენებლები: — კალოევი — 131, სალნიკოვი — 134, ფედოტოვი — 141, სტრელცოვი და ჰუსანიოვი — 142, მარქაროვი — 157, სოლოვიოვი — 161, ივანოვი — 162, პონომაროვი — 168, სიმონიანი — 179... წელს, ეტყობა, შენგელიას შეუძლია გადაასწროს რამდენიმე მათგანს, შემდეგ კი, ვნახოთ...

125 ბურთი გაიტანა ჩვენმა სასი-

ქაღლო ბორის პაიჭაძემ, რომელსაც „ფეხბურთის კარუსო“ უწოდებდნენ. ესეც მხოლოდ საკავშირო ჩემპიონატში და საკავშირო თასზე გატანილი ბურთებია. იმას, ვისაც ბორის პაიჭაძის თამაში ახსოვს, შეუძლია, ერთი წუთით წარმოიდგინოს, როგორ მოაჯლოვებდა იგი დღეს მაყურებლებს, გნებავთ ევროპაში, გნებავთ — სამხრეთ ამერიკაში. 113 ბურთი გაიტანა სლავა მეტრეველმა, 110 — გივი ნოღიამ, 106 ბურთი — დავით ყიფიანმა. რომ მადრიდის „რეალთან“ მიღებული მძიმე ტრავმა არა, დავითი დღემდე ითამაშებდა და მის მიერ გატანილი გოლების რაოდენობაც სულ სხვანაირი იქნებოდა. ახლა კი დავით ყიფიანს გვინდა ვუსტროვოთ, რაც მას დააკლდა, მისი ხელმძღვანელობით თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს გაეტანოთ: საკავშირო ჩემპიონატშიც, თასზეც, ევროპის ტურნირებზე თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე!

გივი გამრეკელი



იმედი და ოპტიმიზმი, ხვალინდელი დღის ნადი რწმენა — ესაა გულშემატკივრის, ფეხბურთზე შეყვარებული კაცის საარსებო წყარო, და თუ თბილისის „დინამოს“ ქომაგებს შარშანდელ სეზონში ნალოლიავეები ოცნებები და ნანატრი ზმანებები ფუჭად დაურჩათ, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ გულზე ხელები დავიკრიბოთ და თვალცრემლიანებმა ვუცქიროთ, როგორ მიქანება დაბლა ეს სახელგანთქმული გუნდი, საბჭოთა ფეხბურთის მშენებმა, ჩვენი სიამაყე და სიყვარული, ერთ-ერთი დიდი ევროპული გათამაშების პირველი ლაურეატი — თბილისის „დინამო“.

ჩვენ, ქართველებს, ისედაც ხომ ბევრი რამ გვაქვს საამაყო და თავმოსაწონი, მათგან კი არავის და არაფერი ჩამოუვარდება სპორტი — ერის ჭანსალი, მხნე, ვაჟკაციური შემართების უშეცდომო სიმბოლო. ჩვენს შესანიშნავ ოლიმპიელებს — მოჭიდავეებს, ტანმოვარჯიშეებს, მძლეონებს, მსროლელებს, კალათბურთელებს, წყალბურთელებს და სხვებს. საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე ყველა მშვენივრად იცნობს, ასევე კარგად იცნობენ ქართველ ფეხბურთელებსაც, ტყავის ბურთის ნამდვილ დიდოსტატებს, რომელთა სახელები დაამზენებდა რომელიც გნებავთ აღიარებულ, საქმეყნოდ განთქმულ სუბერკლუბს.

მე კარგად მახსოვს თბილისის „დინამოს“ პირველი ნაბიჯები უდიდეს საკავშირო ასპარეზობებში. მახსოვს 1986 წელი, როცა ჩვენს ქვეყანაში ის-ის იყო საფუძველი ჩაეყარა საკლუბო ჩემპიონატებს (მანამდე იმართებოდა საკავშირო პირველობები ქალაქების ნაკრებ გუნდებს შორის). 1986 წლის გაზაფხულზე შეადგინეს ორი ჯგუფი, პირველ ჯგუფში ჩარიცხეს 7 გუნდი, მეორეში კი თავი მოუყარეს დანარჩენებს და ამით სათავე დაუდეს სსრ კავშირის საკლუბო ჩემპიონატებს.

როცა ამ შეჯიბრებათა ორგანიზატორების მისამართით ასე იქედნურად ვამბობთ „შეადგინესო“, „ჩარიცხესო“, „თავი მოუყარესო“, მხედველობაში ისა გვაქვს, რომ მაშინ, პირველდამწყებთა პირობაზე, ხეირიანად არავინ იცოდა, ამ ჩვენს ვენება ქვეყანაში ვინ როგორ თამაშობდა ფეხბურთს, ვის რისი თავი ჰქონდა და ამიტომ ამოსავალ წერტილად, თავისებურ კრიტერიუმად მიიჩნიეს და დაადგინეს ის, რაც იცოდნენ: 3 ქალაქი — მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი. დანარჩენებს მეორე ჯგუფში უყრეს თავი.

და, აი, ამ „თავნაკრავმა“ თბილისელებმა 1986 წლის გაზაფხულზე „ქვა-ქვაზე“ არ დატოვეს მეორე ჯგუფში და ისე, რამდენადღე მაინც სერიოზულ წინააღმდეგობას რომ არ წაწყდომიან, საშემოდგომოდ იქ გადაინაცვლეს, სადაც იმყოფებოდნენ „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ — პირველ ჯგუფში.

უკვე მაშინ დაიწყო ჩვენი გუნდის მძლავრი აღმასვლა საკავშირო ჩემპიონატებსა და თანის გათამაშებებში. უკვე პირველ ომამდელ წლებში

თბილისელებმა მეორე და მესამე ადგილები დაიმკვიდრეს, ზედვიწედი ითამაშეს თანის ფინალში, ამას მოჰყვა წარმატებები საერთაშორისო შეხვედრებში.

დიდად მოგვკონდა მაშინ თავი ჩვენი ფეხბურთელებით, თბილისის „დინამო“ ერთადერთი გუნდი იყო საბჭოთა ფეხბურთში, რომელიც უმადლეს ლიგაში არც ერთხელ არ ჩამოქვეითებულა მეცხრე ადგილზე დაბლა.

და, აი, ასეთი გაუგონარი, არნახული კაჟუსი შარშანდელ ჩემპიონატში — მეთექვსმეტე ადგილი ვინ თბილისის „დინამო“ და ვინ მეთექვსმეტე ადგილი?!

ეს მით უფრო გასაოცარი, ნამდვილად პარადოქსული ამბავი იყო, როცა გაიხსენებ ჩვენი გუნდის ბოლო წლების ბრწყინვალე მიღწევებს, მის დიდ გამარჯვებებს.

მართლაც, გასაოცარი ამბავია. 1974-75 წლებში თბილისის „დინამოს“ ძნელზე ძნელი ფაში ჰქონდა, გუნდს დიდად უჭირდა, მაგრამ მაშინაც კი „თავის“ მერვე-მეცხრე ადგილებზე დაბლა არ დაშვებულა. ტრადიცია მაინც ცოცხლობდა. შემდეგ, 1976 წელს, კოლექტივს სათავეში ჩაუდგა ახალი მწვრთნელი ნ. ახალკაცი, მან თავი მოუყარა ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, გუნდი შეიკრა, შედუღებდა და შუადგა უმადლესი მწვრთნალების ურთულეს ტრავერსს: მესამე ადგილი, კვლავ მესამე, მეორე, 1978 წელს — პირველი, შემდეგ — მეოთხე, მეოთხე, მესამე, კვლავ მეოთხე. 1976 და 1979 წლებში დინამოელებმა საქართველოში ორჯერ ჩამოიტანეს სსრ კავშირის სასუკარი ბროლის თასი, 1981 წელს კი ნამდვილ საერთაშორისო აღიარებასაც მიაღწიეს — მოიპოვეს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი.

ეს იყო ამოგების დიდებული წლები. და, აი, როგორც ქუხილი მოწმენდილი ციდან, ამას შარშანდელი უმძიმესი ჩავარდნა მოჰყვა — მეთექვსმეტე ადგილი, ყოვლად გაუგებარი, გაუმართლებელი შედეგი, მარცხი საკავშირო თასის პირველივე მატჩში დაბალი ლიგის გუნდისგან, დაბოლოს, სრული იზოლაცია საერთაშორისო ასპარეზზე.

მიზეზები? რა თქმა უნდა, ასეთი კატაკლიზმები ფეხბურთში უმიზეზოდ არ ხდება, არც შემთხვევით, თავისთავად შეიძლება დაკარგო ის, რაც ათეული წლების მანძილზე თაობიდან თაობამდე შრომით, წვითა და დავით შეგვიქნია.

მიზეზები! ამაზე ახლა ბევრს ვლაპარაკობთ ჩვენს საფეხბურთო წრეებში, ვეძებთ მათს სათავეებს, გვინდა ის საბაზი მოვიშველიოთ, რომ გუნდს თაობათა ცვლის უმძიმესი პერიოდი დაუდგა, რომ უმადლეს კლასის წასულ ოსტატებს დროზე ვერ შევაშველეთ ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდობა, რომ დავით ყიფიანს, ვიტალი დარასელიას, მანუჩარ მარაძის, შოთა ხინგაშვილსა და სხვა მათს მსგავს ვირტუოზებს, ასე იოლად, მაიმარად ვერ შეცვლია. ასეთი მოთამაშები დიდ ფეხბურთ-

ში ათწლეულებში ერთხელ თუ მოდიან.

მაგრამ განა ასეთი უჩვეულო და მოულოდნელი ამბავია თაობათა ცვლა ფეხბურთში? განა თავის დროზე ასეთივე გულსიტკივლით არ გავაცილეთ დიდი სარბიელიდან შავ-გულიძე და პაიჭაძე, დოროხოვი და მარლანია, ჭეჭელავა და დოლობერიძე, ბერძენიშვილი და ანთაძე, ხურცილავა და ჩოხელი, ელოშვილი და ძოდუაშვილი, იამანიძე და სიჭინავა, მესხი და მეტრეველი და მრავალი, მრავალი სხვა? წლები შეუკავებლად მიქანებთან, ჩვენც, გვინდა ეს თუ არა, უნდა მივყვეთ მათ, გვესმას თანამედროვეობის აუცილებელი მოთხოვნები.

არსებობს მემკვიდრეობითობა, თაობათა მყარი, საფუძვლიანი მონაცვლეობა. ასპარეზიდან წასული დიდი ადამიანი მუდამ ტოვებს იმ ოქროს მარადიულ საფუძველს, რომელზეც მერე, შემდგომში ახალი, კიდევ უფრო მყარი ნაგებობა აღიმართება.

ყოველი გამოჩენილი ფეხბურთელი, ყოველი დიდი ოსტატი, ეს ჩვენთვის დიდი მოვლენაა, იგი თავისებურ ეპოქას ქმნის და ჩვენ ყველანი, ვინც ამ მარადიული თამაშის გარშემო ვტრიალებთ და შევცვიცინებთ მას, ვალდებული ვართ, პაიჭაძის, დოლობერიძის, ხურცილავას, მესხის, მარაძის, ყიფიანისა და სხვათა თამაშის პერიოდში მათს გარშემო შევქმნათ ის მასაზრობელი გარემო,

ერი, ნამდვილი სიყვარულით გვივარს, გვევალება, ისიც აუცილებლად გვევალება ვიყოთ იქ, სადა თვით ჩვენი გუნდია, გვევალება გვერდით და არა სწავლა-მეცადინეობის, უცხო ნაბიჯზე, საიდანაც კრიტიკანის თვლით შეგაძლია უყურრო. თუ როგორ იძირება შენი, საკუთარი, სისხლსორცეული, საუკუნის მანძილზე ნაზარდი და ნაკურთხი გუნდი, მას ახლა უჭირს და ჰაერით სჭირდება გვერდით დგომა, შემწეობა, სიმხნევე.

არ შეიძლება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, დაბეჩადეს და საწყალობელი შეიქნას თბილისის „დინამო“ — ქართული ფეხბურთის ალამდარი, გუნდი, რომლის რიგებში თბილისელთა გარდა მუდამ გამოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები, ის, რაც 1988 წელს მოხდა, სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ და მერე, წლები რომ გავა, ეს ამბავი რაღაც საფეხბურთო საოცრებად, აბსურდად გავიხსენოთ.

მანამდე კი რთული, ძალიან ძნელი სამუშაო ელის თვით გუნდსაც და მის ხელმძღვანელობასაც. თბილისის „დინამოს“ ახლა ახალი უფროსი მწვრთნელი, ახალი დამრიგებელი ჰყავს — სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით ყიფიანი. კარგად გვესმის, რა ძნელ საქმეს და რა მძიმე პერიოდში მოჰქიადა ხელი დ. ყიფიანმა, მას ურთულესი პრობლემები აქვს გადასაჭრელი, ისიც ვიცით,

იმედი ჩვენი ფეხბურთისა

სადაც აღმოცენდებიან ახალი და ახალი ტალანტები. ფეხბურთი, ხომ ხედავთ, ურთულესი და დიდად ღრმავინარსიანი, ცხოვრებისეული ამბავია. ასევე უნდა აღიზარდონ ახალი, ძლიერი ფეხბურთელები, სანამ მწვანე მინდორზე ვინმე ჩვენი ბერ-მუხა იბერტყავს თავის მძლავრ რკობიან ტოტებს.

ჩვენ, ეტყობა, უყურადღებობისა თუ დაუდევრობის გამო, ხელიდან გავუშვით 1976-1982 წლების თბილისის „დინამოს“ ეს ბარაქიანი პერიოდი და ახლა, თუ არ ვცდებით, თავიდან გვიხდება უკვე მომავლებლის ხელახლა მოპოვება, მიღწეულის კვლავ მიღწევა. სხვაგვარად ენასევე არ მოგებრუნდება კაცს, როცა აღიარებულ ჩემპიონსა და თასების ძველ მფლობელს მეთექვსმეტე პოზიციიდან უხდება საკავშირო ჩემპიონატის დაწყება.


თბილისის „დინამოს“ შველა უნდა! ამ დიდი და პასუხსაგები მისიის აღსარებულბლად ახლა ყველა მობილიზებულია, ყველა შემართულია. ასევე შემართული უნდა ვიყოთ ისინიც, ვინც კი „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნებზე ვსხედვართ ან ტელევიზიის ეკრანებთან ვართ გამობმული. ჩვენ, მაყურებლებს, სიამოვნებისა თუ უსიამოვნების განცდის, დადებითი თუ უარყოფითი ემოციების გარდა, სხვა ბევრი რამ მოგვეთხოვება. თუ ფეხბურთი ასეთი ძლი-

ზოგიერთები რომ პირველივე მატჩიდან მოსთხოვენ ახალგაზრდა მწვრთნელს დიდ წარმატებებს და გამარჯვებებს, მოსთხოვენ, გუნდმა უმოკლეს ხანშივე, დაუყოვნებლივ გამოასწოროს ყველა ის ნაკლოვანება, რაც კი მას შარშანდელ სეზონში დაჰყვა.

ფეხბურთში ასე არ ხდება. კოლექტივის ფეხზე წამოყენებას, მის მომძლავრებას, ძველი დიდების აღდგენას საკმაო დრო და ხანი სჭირდება. რახან თბილისის „დინამოს“ წარსული წლების იმ აღმართს ასე უცხად ასეთი მკვეთრი დაღმართიც მოჰყვა, საქმეს საფუძვლიანი, მოფიქრებული, რიგიანი მიდგომა ესაჭიროება. დასამალი არაა, რომ გუნდს აკლია ძლიერი, მაღალი კვალიფიკაციის მოთამაშეები, ნამდვილი ოსტატები, ისინი უნდა ვეძიოთ არა მარტო თვით კოლექტივში, არამედ სხვაგანაც, მთელ საქართველოში.

ძნელი სეზონი გვიძევს წინ. ამიტომ ყველანი თბილისის „დინამოსთან“ ერთად ვართ, ყველანი ყურადღებით ვადევნებთ თვალს დ. ყიფიანისა და მისი კოლეგების დაუღალავ საქმიანობას, ჩვენი ფეხბურთელების წვრთნასაც და თამაშსაც.

გიორგი ქორქია,
საპარტიველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.



შვეულად: 1. დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა სერია საბჭოთა კავშირში; 2. შუქური გამოსახულების, სხვადასხვა სივრცეების მისაღები ზედაპირი; 4. ჯილდო; 5. ავსტრიელი დირიჟორი; 6. კვადრატის ან სწორკუთხედის სახით ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა ძველად; 8. მოქმედი ვულკანი კუნძულ სიცილიაზე; 11. ხის ქერქქვეშ მდებარე მაგარი ნაწილი; 13. ნიკარაგუის დედაქალაქი; 14. ინგლისის საინფორმაციო სააგენტო; 15. ბუნების ფიზიკური სხეულების შემადგენელი ნივთიერება; 17. მსახიობის სახის შეცვლა სპეციალური საღებავებით; 19. ხარისხი, თანრიგი; 25. წითელი ხის ავეჯის სტილი; 26. უნგრელი კომპოზიტორი; 28. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ჯგუფი ინდოეთსა და აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში; 29. სესხად აღებული ფული; 30. იტალიელი კინომსახიობი ქალი; 31. წინასწარ გადახდილი მისაღები თანხის ნაწილი.

თარგუმულად: 8. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 7. ეხსანეთის ისტორიული ოლქი და პროვინცია; 9. საქართველოში მოღვაწე ჩენი მუსიკოსი; 10. ხის ანახეთი; 12. სტილი დასავლეთ ევროპის არქიტექტურასა და ხელოვნებაში; 16. სეველიანი, ლირიკული ლექსი; 18. თამაში-გამოცანა; 20. ცვარი; 21. მილის სახით დახვეული თამბაქოს ფოთლები; 22. შოლანდიელი მოქადრაკე; 23. ტბორი, დამდგარი წყალი; 24. იტალიელი დირიჟებლმწე-ნებელი; 27. საოჯახო ნივთების შესანახი სახურავიანი დიდი ყუთი; 30. გრძელი ფართო მოსახსნამი; 32. პირველი ბულგარული სამეფოს დედაქალაქი VII-IX საუკუნეში; 33. დამოკიდებული სახელმწიფო; 34. აფრიკის უდაბნო; 35. წინსვლა, აღმავლობა.

პროსმორდი უმადგინა ცილა ამაშუკელმა.

სარკმარტო ღიმილი

ნახატები ლევან მართაშვილისა



„დროშის“ № 2-ში გამოქვეყნებული პროსმორდების პასუხები

შვეულად: 1. გაბაშვილი; 2. პრუნელი; 3. კომპასი; 4. კლეოპატრა; 9. ჯავახიშვილი; 11. ვერნისაუ; 14. ჩატურანგა; 15. „ეგმონტი“; 16. „ბიშლეთი“; 20. ატესტაცია; 21. ალპინიზმი; 24. ეერმონი; 25. ანგარია.

თარგუმულად: 5. მანეტრო; 6. ხორბალი; 7. ფლაგმანი; 8. აპოთეოზი; 10. ქვაკვი; 12. ალიანსი; 13. მატჩი; 17. პროლოგი; 18. შიდრათი; 19. მოსულთშვილი; 22. კანტატა; 23. ეტალონი; 26. დიასი; 27. პერლონი; 28. გირაო; 29. ამაღ-გამა; 30. კავატინა; 31. მიკრონი; 32. დიორამა.

შვეულად: 1. ფანტაზია; 2. კოლონტაი; 3. ტიარა; 4. ფრიზი; 5. ბასტურმა; 6. ბიზანტია; 9. ფილატელისტი; 10. ანტიბიოტიკი; 13. კოლიზეი; 14. სტეკა; 15. ილორი; 20. არმატურა; 21. „არიამბატა“; 22. პრელუდია; 23. ხარისდანი; 26. არაია; 27. ენოტი.

თარგუმულად: 7. ბალმონტი; 8. რედაქცია; 9. ფრაზა; 11. ზარანდია; 12. ინსულინი; 14. სანატორიუმი; 16. ლახტი; 17. ალთაი; 18. პეტცია; 19. ტანკა; 22. პრესა; 24. არქიტექტორი; 25. ვარიანტა; 27. ეკოლოგია; 28. ირანი; 29. პრესტეჟი; 30. ტერილენი.

კორექტორი ცისანა სივინაძე

მონტაჟი ნანული დანელიანი

ზარეპანის მისამე გვირღვ: თეატრალური ინსტიტუტის სამსახირო ფაკულტეტის პირველი კურსის წარჩინებული სტუდენტი ლია ასკურაძე. ფოტო თარხან არჩვაძისა.

პროდუქტორებო ვეჟა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№3 (567) მარტი 1984

მურნალი გამოდის 1923 წლიდან
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო მურნალი

მთავარი რედაქტორი
სუბა პერულავა

საქართველოს კვ. ცვ.ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1984 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. შდევანი), ნათელა გიორგოზიანი, თენგიზ ვოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრეშვილი, სერგო ღურგიშიძე, ვახტანგ მსხვერვილაძე, ოთარ თურქია, დინარა ნოღია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბაძე, ილია ტაბაღაძე, ნუზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, შინა ჯაფარიძე.

გადეცა წარმოებას 1.II.84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.II.84 წ., შე 07850. ქალაქის ზომა 70x1081/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,3 საარტიცხვო-სავა-მომცემლო თაბახი 5,09, ტირაჟი 48.200. შეკვ. 239. ფახი 35 კაპ. 860096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ. ცვ.ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 3, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 12. ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-86, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. შდევანის — 99-01-39, განყოფილება-თა გამგეების — 98-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-86.
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



678/38

საქართველოს
ბიბლიოთეკა



ინფოსი 76056

საქართველო